CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

„გალფი“ მომხმარებელს ახალ ლოიალურ ბარათს სთავაზობს

იჩქარეთ და გახდით Gualf Club-ის წევრი!




N20/2950/ 11 თებერვალი 2014 წ PRESS ფასი 70 თ

ორშაბათი ჭორიკანა სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი ალია ალია ალია ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE გამოდის 1995 წლიდან

## ვინ არის ბიძინა ივანიშვილის კონკურენტი საქართველოში?



## „რითი ემუქრება გიგა ბოკერიას მეგობარი მარინე მიზანდარი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას?“



## მარგველაშვილი კონგრესმენების წერილს მიესალმება

საქართველოს პრეზიდენტი ამერიკელი კონგრესმენების წერილის გამოქვეყნების მოხარულია. მისი განცხადებით, თბილისშიც ჰქონდა შეხვედრა კონგრესმენებთან და მათი მზაობა და ჩართულობა, ნატო-ში უფრო სწრაფ და ეფექტურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მაშინაც გამოვლინდა.

„კარგია, რომ ამაზე მუშაობა არც ერთი წამით არ ჩერდება, ჩვენი მეგობარი კონგრესმენები ამას ყოველდღიურად აკეთებენ და ასეთი ინიციატივის ფორმას აძლევენ. ვიმედოვნებ, ნელ-ნელა ეს სულისკვეთება, რაც არის უაღრესად სწორი და მომგებიანი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის, გადაწყვეტს ბევრ პრობლემას რეგიონში, გაზიარებული იქნება არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ ჩვენი სხვა მეგობარი ქვეყნების მიერაც და ეს ტენდენცია ამ წლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. (ინტერპრესნიუსი)

## ექსკლუზივი

რაზე ლაპარაკობენ „ნაციონალები“ და უმრავლესობა პარლამენტის კულუარებში?



## ექსკლუზივი

## პოლიციის ყოფილი უფროსი დავით საგანელიძეს ცემით ემუქრება



## მიზანდარს 2013 წელს 34 962 ლარი პრემია აუღია

„ნაციონალმა“ დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა კულტურის მინისტრის სკანდალში გახვეული მოადგილის, მიზანდარის პრემიების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე მუშაობისას მიზანდარმა 2013 წლის იანვარში – 2 950, თებერვალში – 3 610, აპრილში – 7 498, მაისში – 3 599, ივლისში – 3 690, აგვისტოში – 2 700, სექტემბერში – 2 950, ოქტომბერში – 2 065, ნოემბერში – 2 950 და დეკემბერში 2 950 ლარი აიღო.

აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირმა ცქიტიშვილი, რომელიც აცხადებს:

„ვადასტურებთ, რომ მარინე მიზანდარი ყოველთვიურად იღებდა პრემიას. გასულ წელს მან 12-ჯერ აიღო პრემია შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე. რაც შეეხება თანხებს, ეს რა თქმა უნდა, საჯარო ინფორმაციაა, ყველასთვის ხელმისაწვდომია და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სამინისტროს წერილობით მომართოს და გამოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია“, – განაცხადა ცქიტიშვილმა. (პირველი)

ამერიკელი სენატორების სკანდალური წერილი

საქართველო „მაპ“-ს მიიღებს?



## რა ელით ტექდათვალიერებისას მათ, ვისაც მანქანა გაზზე ჰყავთ?



## კულუარები

პროკურატურიდან გაყრილი ადეიშვილის კადრები სასამართლოში დაასაქმეს



## გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ გუგუშვილი:

„თავიდანვე გაცხადებ, რომ ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ! მე აქ ოქრო შეუიარაღებელი თვალით არ მინახავს და ჩვენი წინაპრები როგორ მოიპოვებდნენ?“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „რითი ემუქრება გიგა ბოკერიას მეგობარი მარინე მიზანდარი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას?“



კულტურისა და მეცნიერების მინისტრმა გურამ ოდიშარიამ თავისი პირველი მოადგილის, მარინე მიზანდარის განთავისუფლების განცხადებით საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა, რადგანაც პრემიერი ნიშნავს მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს, ისევე პრემიერის პრეროგატივაა მათი განთავისუფლებაც. მანამდე კი მოვლენები ასე განვითარდა:

10 თებერვლის შუადღისას ოდიშარიამ მისი პირველი მოადგილის განთავისუფლების მოთხოვნის საკითხზე განმარტება გააკეთა და მიზანდარი დაუმორჩილებლობასა და გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებაში დაადანაშაულა:

„განსაკუთრებით უკანასკნელ დროს იყო დაუმორჩილებლობის, ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების მომენტები, რაც მთავარია, არსებობდა არაგუნდური მოქმედებები, რომელიც ხელს უშლიდა და დღეს ხელს უშლის კულტურის სამინისტროს. ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, მივმართეთ პრემიერ-მინისტრს საკადრო პრობლემასთან დაკავშირებით და ველოდებით მის გადაწყვეტილებას“, – განაცხადა ოდიშარიამ.

მისივე განმარტებით, გადაწყვეტილება კონკრეტულად 27 იანვარს, საყდრისის თემაზე მიზანდარის ორგანიზებით გამართულ სხდომას არ უკავშირდება, რის შესახებაც ის ინფორმირებული არ ყოფილა.

„ხაზგასმით ვამტკიცებ, რომ ეს ამბავი არ არის დაკავშირებული 27 იანვართან, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებული არ ვყოფილვარ და ვალდებული იყო პირველი მოადგილე, მოეწოდებინა ცნობა, რომ მაშინ, როცა მთავრობის სხდომა მიმდინარეობდა, სამინისტროში აპირებდა საბჭოს სხდომის გამართვას“, – აღნიშნა ოდიშარიამ და დასძინა:

„დღესაც, 11 საათზე გვქონდა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები. მარინე მიზანდარი ადგა, თქვა, რომელიღაც ტელევიზიას უნდა მივცე კომენტარიო, გავიდა და ტელეეკრანიდან ვიგებთ, რომ მას არ მოსწონს სამინისტროში საკადრო პოლიტიკა, რომ მენეჯმენტი არ ვარგა და შეურაცხმყოფელი ფრაზები გამოიყენა მთელი სამინისტროს მისამართით. ამას მე, როგორც მინისტრი, რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებ“, – განაცხადა ოდიშარიამ.

საკუთარი პოზიცია დააფიქსირა მიზანდარმაც და განაცხადა, რომ გურამ ოდიშარიამ მისი განთავისუფლების მოთხოვნით პრემიერს ჯერ კიდევ 5 თებერვალს მიმართა და მინისტრის მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზად გურამ ოდიშარიასთან რამდენიმე საკითხზე უთანხმოება, განსაკუთრებით კი საყდრისის თემა, ასევე საკადრო პოლიტიკა დაასახელა.

მიზანდარი მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ გურამ ოდიშარიას მოთხოვნას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 27 იანვრის სხდომას უკავშირებს.

„30 იანვარს მინისტრმა წერილობითი შენიშვნა გამომიცხადა. ასე რომ, ძალიანაც რომ არ მინდოდეს დაკავშირება, მაინც შეინიშნება ამ მოვლენებს შორის კავშირი. მე ნამდვილად ვარ გუნდური მოთამაშე, სამწუხაროდ, თავად მინისტრმა ვერ შეძლო გუნდის შეკვრა და ვიტყოდი, რომ მთავარი პრობლემის არსი არის ხედვის უქონლობა ან სამინისტროს არასწორი ხედვა, რომელიც ძირეულად უნდა შეიცვალოს, უნდა გაიმართოს და იყოს ორიენტირებული სწორედ კულტურის სფეროს წინ წამოწევაზე, კულტურის მუშაკთა ინტერესების გათვალისწინებაზე. დღესდღეობით, სამწუხაროდ, ეს სათანადოდ არ ხდება და ამდენად, ამ ხედვის პრობლემამ გარკვეულწილად, შეიძლება, რაღაც დავისა და დისკუსიის აუცილებლობა შექმნა თვითონ მენეჯმენტში, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგადად გუნდს ვერ ვუწოდებ. როგორც ასეთი, გუნდი სამინისტროს მართვის სფეროში არ ჰყავს“. – განაცხადა მარინე მიზანდარმა.

ამის შემდეგ უკვე „მაესტროს“ გადაცემა „სუბიექტურ აზრში“ მიზანდარი აცხადებს, რომ ის შეხვდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს და ესაუბრა მას, მაგრამ წამყვანების კითხვაზე, რას შეეხებოდა საუბარი, ოდიშარიას მოადგილემ ეს არ გაშიფრა, ამის შესახებ თავს შევიკავებო.

რაზე ისაუბრეს პრემიერმა და მიზანდარმა? როგორია ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია, საითკენ იხრება პრემიერი, უპირებს თუ არა მიზანდარს განთავისუფლებას?

„ალია“ კომენტარისთვის პრემიერის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს **მანანა თოქმაჯიშვილს** დაუკავშირდა.

– მიზანდარი შეხვდა პრემიერს? არ ვიცი, შევეცდები, გადავამოწმო. საქმე ისაა, რომ პრესსამსახური ყოველთვის არ არის საქმის კურსში პრემიერის შეხვედრებთან დაკავშირებით.

**— პრესსამსახური არ არის საქმის კურსში?**

– დიახ, რადგანაც პრემიერს დღის მანძილზე აქვს უამრავი შეხვედრა, რომელიც დახურულ ფორმატშია და ჩვენამდე არ მოდის ინფორმაცია. რაც არის ღია და გასატანი მედიაში, ის, რა თქმა უნდა, ვიცით. ამდენად, მე ნამდვილად არ ვარ საქმის კურსში.



**— მეტი მედიაში ღიად გასატანი რა უნდა ყოფილიყო, ქალი ტელევიზიით გამოვიდა და პირდაპირ თქვა, შევხვდიო.**

– გასაგებია, მაგრამ უნდა გავარკვიო. ცოტა ხანში დამირეკეთ.

(ათი წუთის შემდეგ):

– ვადასტურებ, ნამდვილად შეხვდა პრემიერი ქალბატონ მარინეს, ეს იყო დახურული შეხვედრა, ორ ადამიანს შორის საუბარი. ამდენად, მე ნამდვილად არ ვარ საქმის კურსში. ფაქტი გადავამოწმე და გავარკვიე, რომ მართალს ამბობთ.

**— ეგ მეც ვიცი და ანუ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრემიერი და რით დასრულდება ეს ამბავი, არ იცით?**

– არ ვიცი, თუ თავად ჩათვლის ან ერთი მხარე, ან მეორე საჭიროდ, რომ ამაზე გააკეთოს განმარტება, ამას ვნახავთ, სხვა არ ვარ საქმის კურსში.

მოგვიანებით, სკანდალთან დაკავშირებით პუბლიკაციას აქვეყნებს ინტერნეტ გამოცემა „გარდიან.გე“ სათაურით: „რითი ემუქრება გიგა ბოკერიას მეგობარი მარინე მიზანდარი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას?“, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ: „...მარინე მიზანდარი სხვადასხვა მედიასაშუალებებში აქტიურად იკეთებდა თამამი ძეგლისდამცველის იმიჯს და სიტუაციას ხელოვნურად ძაბავდა. დღეს სიტუაცია ასეთია - საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს თემა საბოლოო დასკვნის მოლოდინშია, სამთავრობო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ მარინე მიზანდარი ქუჩაში გამოსვლით იმუქრება (იყენებს სტუდენტების მხურვალე ემოციებს და დემონსტრაციებისკენ უბიძგებს). ჯერ მიზანდარმა არ იცის, რა დასკვნას გამოაქვეყნებს მთავრობა (ხომ შესაძლოა მისი და მთავრობის დასკვნა ერთმანეთს დაემთხვეს?), მაგრამ მიზანდარი არ იცდის და ჩქარობს „დავალების“ შესრულებას... რეალურად კი, ის ხელოვნურად ქმნის საზოგადოებრივ მღელვარებას. დიახ, „ნაციონალური მოძრაობის“ „რევანშისტული ბომბის“ აფეთქება ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის წინააღმდეგ. მან ზუსტად იცის, რომ მთავარობა საყდრისის „განადგურებას“ არ აპირებს, მაგრამ საპირისპიროს აპიარებს, რაც ცეცხლზე ნავთის დასხმის ტილფასია... ვიდრე მიზანდარი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დაინიშნებოდა, ერთი წელი მუშაობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კერძო სექტორში გადასროლილი თანხებით შექმნილ „ევროპის სახლში“. დღეს ყველამ იცის, რომ ფუფუნების სიმბოლო „ევროპის სახლი“ (ლესელიძის ქუჩაძე) ექს-პრეზიდენტის დავალებით ვანო მერაბიშვილის უწყებიდან ფინანსდებოდა. ეს რა თქმა უნდა, იცოდა მარინე მიზანდარმაც, ვინც თავს დღემდე გიგა ბოკერიას მეგობრობით იწონებს.

როცა „საჭირო გახდა“ მარინე მიზანდარი ახალ მთავრობაში საკუთარი „სივით“ გამოცხადდა: ჩვეული ჰიპერაქტიურობით დაიწყო ნდობის მოპოვება, ფიარის კეთება, მინისტრის პოზიციების „შესუსტება“, ყველგან თავის გამოჩენა, აშკარა დაუმორჩილებლობა (კულუარული ინფორმაციით, ის მინისტრს არც ერთ ბრძანებას არ ასრულებს და რაც თავად სურს იმას აკეთებს, რისთვისაც მიიღო ოფიციალური საყვედური), საკუთარი თანამოაზრეებით და „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებით სამინისტროს კომისიების შევსება, „ევროპის სახლის“ პროექტების დაფინანსება, ნაბიჯ-ნაბიჯ მთავარი პოსტისკენ აღმასვლა და ამისათვის ჯერ კიდევ სამთავრობო მაგიდაზე განსახილველად გადაშლილი საკითხი – საყდრისი გამოიყენა! დიახ, როგორც კი, დაუმორჩილებლობის გამო მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, როგორც კი, მინისტრის მოადგილე მიზანდარი საქართველოს პრემიერ-მინისტრს – ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა და მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანის (და არა მოხსნის, როგორც თავად ახმაურებს!) ინფორმაციამ საზოგადოებამდე გამოჟონა, მაშინვე ააფრიალა „ჩაგრული ძეგლისდამცველის მანტია“ და წინასწარ დარაზმული მომხრეების მხარდასაჭერ ტალღას ამოეფარა. როგორც ჩანს, ყოფილი ხელისუფლების მომხრეებისგან კიდევ ბევრი „სასცენო სანახაობაა“ მოსალოდნელი, რაზეც მთავრობა მზად უნდა იყოს და საზოგადოებამ გონივრული სიდინჯით უნდა უპასუხოს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნანუაშვილი გეგუთში სიტუაციის დარეგულირებას ითხოვს




გეგუთის ციხესთან დაკავშირებით სიტუაცია უნდა დარეგულირდეს და გარკვეული კომპრომისული ნაბიჯები გადაიდგას, – ამის შესახებ სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ნანუაშვილის თქმით, ვრცელდება გადაუმოწმებელი ინფორმაციები, რაც სიტუაციას ძაბავს.

„ბოლო დღეების განმავლობაში ვრცელდება ძალიან ბევრი ჭორი, ბევრი გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რაც სიტუაციის ესკალაციას იწვევს. გეგუთში ყოფნის დროს მე თვითონ შევესწარი ფაქტს, როდესაც მსჯავრდადებული ურეკავდა ოჯახის წევრს და ეუბნებოდა, თითქოს ის იყო ნაცემ-ნაწამები. თუმცა, როცა მას შევხვდით, ჩვენთან საუბარში მან ეს უარყო. სამწუხაროა, რომ გარკვეული ძალები დაძაბულობის კერის შექმნას ცდილობენ. ასევე, არ დასტურდება, რომ 6, 7 და 8 თებერვალს სპეცრაზმი გეგუთის ციხეში იმყოფებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოთხოვნა, რომელიც პატიმრებს აქვთ, იყოს განხილული და მოხდეს იმ მოთხოვნების შესრულება, რომელიც კანონის ჩარჩოებში ჯდება. იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობა განიმუხტოს და სამინისტრომ გარკვეული ნაბიჯები გადადგას, სამწუხაროდ, გარკვეული მცდელობები მიმდინარეობს კიდევ უფრო დაძაბვისკენ...

სიტუაცია უნდა დარეგულირდეს, უნდა მოხდეს გარკვეული კომპრომისები, საუბარი არის იმაზე, რომ მაქსიმალურად უნდა იყოს პრობლემები შესწავლილი, რომლებიც ამჟამად გეგუთის დაწესებულებაში არის. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მივესალმებით და მოვუწოდებთ პატიმრებს, რომ მსგავსი სახის პროტესტის გამოხატვა შეწყვიტონ, რადგანაც ნებისმიერი პრობლემა უნდა გადაწყდეს კანონის ჩარჩოებში. საუბარია, რომ არ მოხდეს ჯანმრთელობისთვის დაზიანებების მიღება. ეს არის სამწუხარო ფაქტი, რომელსაც ჰქონდა ადგილი“. – განაცხადა ნანუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## თურქეთის ელჩმა ფანჯიკიძეს რწმუნებათა სიგელების ასლი გადასცა



თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნულმა ელჩმა, ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს რწმუნებათა სიგელების ასლი გადასცა.

ელჩმა მზადყოფნა გამოხატა ხელი შეუწყოს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას და კიდევ ერთხელ დააფიქსირა თურქეთის პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ სურს პუტინს მარგველაშვილთან შეხვედრა და არა ღარიბაშვილთან?

**რუსეთის პრეზიდენტმა 10 თებერვალს უკვე ღიად დააფიქსირა, რომ ის მზადაა შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს. გასულ კვირას კი, მან ნიადაგი მოსინჯა და მისივე პრესსამსახურის უფროსის, პესკოვის საშუალებით გზავნილი გაუკეთა მარგველაშვილს, სოჭში თუ ჩამოვა, შევხვდებიო.**

**პუტინი ღიად აცხადებს მარგველაშვილთან შეხვედრის სურვილს, რაზეც მარგველაშვილი პასუხობს, ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ რუსეთთან ურთიერთობისთვის, ამიტომ ამ საკითხზე კონსულტაციები გვექნებაო.**

**რა სიურპრიზებს გვიმზადებს რუსეთი და რატომ შეარბილა ტონი?**

„ალიას" კითხვებს „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" ხელმძღვანელი **ზაალ კასრელიშვილი** პასუხობს:

**— ხალხს პროტესტი გაუჩნდა პუტინის განცხადების გამო, ტერიტორიები დააბრუნე, ქართველ ხალხს ბოდიში მოუხადე, ფულადი კომპენსაციები გადაუხადე ეთნოწმენდის მსხვერპლებს და ჰააგის ტრიბუნალზე შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაგეთვლებაო. ასეთია განწყობა. თქვენი აზრით, რატომ დათბა პუტინი, რატომ გამოთქვამს მზაობას, რომ შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს?**



– რუსეთს რჩება ორი გზა, ოლიმპიადის შემდეგ ან საქართველოსთან მეზობლურ გზას დაადგება, რითაც საერთაშორისო საზოგადოების კეთილგანწყობას მოიპოვებს და ამით კავკასიაში პოზიციებსაც შეინარჩუნებს, ან აირჩევს პროვოკაციებისა და ზეწოლის გზას, რომლითაც კავკასიის რეგიონს დაძაბავს, არეულობას გამოიწვევს და კულმინაციის დონეზე დაუპირისპირდება ერთიან გლობალურ პროცესებს, რომელიც რუსეთის ეკონომიკას სამიდან ექვს თვეში გაანადგურებს და რუსეთს დააბრუნებს 90-იან წლებში, როცა, ფაქტობრივად, დაშლილი იყო.

**— რუსეთი, ახალი გადანაწილების პროცესში, საერთაშორისო თანამეგობრობას ანგარიშს რატომ გაუწევს?**

– რუსეთმა საერთაშორისო მხარდაჭერა იგრძნო ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხში, მანამდე კი რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის (ჩრდილოეთ კავკასიასა და თათრეთში) კონფლიქტი დასავლეთმა არ აიტაცა და კანონდარღვევებს თვალი დაუხუჭა, რის ხარჯზეც რუსეთმა სახელმწიფო შეინარჩუნა. უფრო ადრე, 90-იან წლებში, პრაქტიკულად დაშლილი რუსეთი იურიდიულად არ გააფორმა და დასავლეთი რუსეთის სახელმწიფოს ჩამოშლას წინ აღუდგა. ახლა რუსეთს ოლიმპიადაზე თანადგომა აღმოუჩინა, უსაფრთხოების არნახული ზომებია მიღებული არა მარტო სოჭში, არამედ მსოფლიოს იმ ქვეყნებშიც, სადაც ტერორიზმის ბუდეებია. ეს ოლიმპიადა არ ჩატარდებოდა, აშშ-ს, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებს ოფიციალურად განცხადებები, რომ არ გაეკეთებინათ, ჩვენ ჩამოვალთ ოლიმპიადაზეო... ამის შემდეგ დასავლეთი რუსეთისგან ელოდება მის ლოგიკურ ნაბიჯებს საქართველოსა და აზერბაიჯანთან მიმართებაში, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოსა და აზერბაიჯანის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან უნდა დაჯდეს და ეკონომიკურ, პარტნიორულ ურთიერთობაზე ღიად დაილაპარაკოს. უნდა გაირკვეს, რას ეძახის რუსეთი 21-ე საუკუნეში მეზობლობასა და ცივილიზებულ ურთიერთობას? როგორ ხედავს რუსეთი აფხაზეთისა და ყარაბახის პრობლემების მოგვარებას? რა ინტერესი აქვს კავკასიაში მიმდინარე გლობალურ ეკონომიკურ პროექტებში? რა ინტერესები აქვს რუსეთს ამ პროცესში? რას ეძახის რეგიონში თავის გავლენას? ამაზე უნდა იყოს პირდაპირი საუბრები, ყოველგვარი მზაკვრობის გარეშე.



**— რატომ აირჩია პუტინმა მარგველაშვილი, რომელიც გადამწყვეტი ფიგურა არაა?**

– მარგველაშვილი, ალბათ, მხოლოდ სტატუსის გამო აირჩია და სწორედ იმიტომ, რომ მას არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია, ეს იქნება სასინჯი, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, სადაც გაარკვევს პოზიციებს, თუ რაზეა მზად საქართველოს ხელისუფლება, საქმიანად და გრძელვადიან გეგმებზე სასაუბროდ კი პრემიერს შეხვდება. მე ვფიქრობ, რომ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ვითარების გართულება და ამის გამო დასავლეთთან კონფლიქტში შესვლა რუსეთისთვის წამგებიანია. არა მგონია, რუსეთმა ამის გამო თავისი ეკონომიკა და ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ დააყენოს. საქართველომ ურთიერთობის დასათბობად ნაბიჯები გადადგა, მაგრამ, თუ რუსეთმა პროვოკაციების გზა აირჩია, პირობას ვდებ, რომ წლის ბოლომდე რუსეთში დაიწყება საშინელი ეკონომიკური კრიზისი, რასაც მოჰყვება რუბლის კურსის ვარდნა, ამას მოჰყვება სოციალური უკმაყოფილება და მასობრივი გალატაკება, ავტომატურად გაიხსნება საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით დაკონსერვებული კონფლიქტები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში და თათრეთში.

**— თუკი რუსეთი დააყენებს ულტიმატუმს, რომ უარი თქვას საქართველომ ევროკავშირზე და ნატოზე, სანაცვლოდ კი წართმეულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს, ასეთ შემთხვევაში როგორი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების პოზიცია?**

– არა მგონია, რომ ასეთი კატეგორიული იყოს რუსეთი საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე, იცით, რატომ უნდა შეხვდეს მარგველაშვილი პუტინს? ჩვენ არ უნდა მივცეთ სალაპარაკო რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ჩვენ გავურბივართ დიალოგს და ვაცხადებთ ბოიკოტს, უნდა შეხვდეს თუნდაც იმიტომ, რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის გასაგები გახდეს, რუსეთს რა უნდა. აქამდე ამბობდნენ, სააკაშვილთან ლაპარაკს არ ვაპირებთო, ახალმა ხელისუფლებამ კი გადადგა რამდენიმე ნაბიჯი კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარებისკენ, ახლა ველოდებით რუსეთისგან შემხვედრ ნაბიჯებს.

**— „აფხაზეთის ხმა" ავრცელებს ინფორმაციას, რომ 23 თებერვალს, ოლიმპიადის დახურვის წინ, რუსეთი აპირებს საქართველოსთვის „სიურპრიზის" მოწყობას. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო თემატიკა აკრძალულია ოლიმპიადაზე, რუსეთის სამშვიდობო ძალების მისიის ამსახველი ფოტოკოლაჟით დაიხურება ოლიმპიადა, ნაჩვენები იქნება 2008 წელს მოკლული ცისფერჩაფხუტიანების ფოტოებიც...**

– ეს იქნება უსერიოზულესი შეცდომა, არა მგონია, რომ რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდოს თავი, ეს იქნება ის შეცდომა, რომლითაც კავკასიურ კონფლიქტს აიკიდებს ზურგზე, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდება დასავლეთს და ეს თუ გაბედა და გააკეთა, გარწმუნეთ, რომ ამჯერად რუსეთი ვერ გაიმარჯვებს.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მირცხულავა სვანებს „სუპერსოფლის" აშენებას ჰპირდება



„საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის" ორგანიზებით ენერგეტიკოსებს, ეკონომისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაიმართა შეხვედრა-დისკუსია, სადაც ხუდონჰესის პროექტზე იმსჯელეს.

„მზად ვართ ავაშენოთ სოფელი, რომლის დარი არც ერთი არ იქნება საქართველოში. აქ არიან ახალი ტექნოლოგიების წარმომადგენლები. გამოყენებული იქნება ულტრათანამედროვე ტექნოლოგიები, გათბობისთვის, ენერგოეფექტურობისთვის ყველა ნაგებობაში. სულ ახლოს იმ ადგილთან, სადაც დღეს ცხოვრობს ადგილობრივი მოსახლეობა, ახალი სოფელი აშენდება", – განაცხადა ხუდონჰესის ინვესტორი კომპანიის „ტრანსელექტრიკას" ტექნიკურმა დირექტორმა დავით მირცხულავამ.

ნებისმიერ ჩვენს მეზობელ ქვეყანას, რომელსაც ბუნებრივი გაზის რესურსი გააჩნია, ნამდვილად აქვს სურვილი, რომ ჩვენთან თბოსადგურები შენდებოდეს. დღეისათვის 73-75%-ით ვართ ენერგოდამოკიდებულები მეზობელ ქვეყნებზე. ჩვენ სხვა შანსი არ გვაქვს, ჩვენი საკუთარი უნდა გამოვიყენოთ". – განაცხადა მირცხულავამ. (ინტერპრესნიუსი)

## მარგველაშვილი პრეზენტაციას დაესწრო



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტის „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის" ფარგლებში მომზადებული ქართული დიალექტური კორპუსის პრეზენტაციას დაესწრო.

„ქართული დიალექტური კორპუსი" თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებით აგებულ საინფორმაციო-საცნობარო სისტემას წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ქართული ენის ნებისმიერი ქვესისტემის ან სხვა ქართველური ენების მონაცემების შენახვა, აღწერა და კვლევა.

„ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, შევქმნათ უნიკალური ქვეყანა, რომელიც მოწადინებულია, იყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის სამშობლო. საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ვინარჩუნებდით ჩვენს კულტურასა და იდენტობას, მაგრამ შემოქმედების უნარი აღარ გვქონდა. დღეს ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას, რომელიც არ ემსახურება სხვა იდეალებს ან იმპერიას. ეს არის ქვეყანა, რომელიც ჩვენი იდენტობისაა", – განაცხადა პრეზიდენტმა.

დღეისთვის კორპუსში 1453 325 სიტყვაა. (ინტერპრესნიუსი)

## ამერიკელი კონგრესმენები საქართველოსთვის „მაპ“-ს მოითხოვენ



საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ამერიკელი კონგრესმენების წერილი ნატო-ს სამიტთან დაკავშირებით, ახალი ხელისუფლების, საქართველოს სერიოზული მხარდაჭერაა. მისი თქმით, ბუქარესტის სამიტის შემდეგ, როდესაც ითქვა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა, რომ შემდეგი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო სამოქმედო „მაპი“, გავიდა 6 წელი და საქართველოს დღეს აქვს ორი ძალიან ქმედითი ინსტრუმენტი ნატო-ში ინტეგრაციისთვის, ეს არის წლიური ეროვნული გეგმა და ნატო-საქართველოს კომისია, რომელიც ინტენსიურად მუშაობს.

„ნატო-საქართველოს კომისიის ბოლო სხდომაზე იმყოფებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ამ კომისიის სხდომამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მიუნხენში ჩვენ გვქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ამ შეხვედრის შემდეგ ძალიან მალე საქართველოს მხარდამჭერი წერილის გამოქვეყნება მიგვაჩნია ახალი ხელისუფლების, საქართველოს ძალიან სერიოზულ მხარდაჭერად. იმედი გვაქვს, რომ იმ სულისკვეთებით, როგორითაც არის დაწერილი ეს წერილი, ჩატარდება ნატო-ს მომავალი სამიტი“, – აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ 2014 წლის სამიტზე ველოდებით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის აღიარებას, მაგრამ არ დაგვიკონკრეტებია, რა შეიძლება იყოს ეს პროგრესი.

„ჩვენ ახლაც არ ვაკონკრეტებთ ამას, მაგრამ ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ძალიან სოლიდური შემადგენლობა მხარს უჭერს საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას ნატო-ში, არის ჩვენთვის ძალიან დიდი მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი სიგნალი. ჩვენ ამაყი და კმაყოფილი ვართ, რომ ეს ხდება სწორედ ახლა“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

42-მა ამერიკელმა კონგრესმენმა წერილით მიმართა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ჯონ ქერის. კონგრესმენები მიესალმებიან აშშ-ს ძალისხმევას, ნატო-ს 2014 წლის სამიტზე პრიორიტეტად აქციოს ნატო-ს გაფართოების პერსპექტივა. (ინტერპრესნიუსი)

## ხუდონჰესის ინვესტორი სვანეთის განვითარების ფონდში ყოველწლიურად რამდენიმე მილიონს გადარიცხავს



„ხუდონჰესის ინვესტორი კომპანიის გადაწყვეტილებით, მოგების 5 პროცენტი მუდმივად გადაირიცხება ფონდში, რომელსაც ერქმევა ამ რეგიონის აღორძინების ფონდი. ეს არის ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ლარი“, – ეს მნიშვნელოვანი განცხადება ხუდონჰესის ინვესტორი კომპანიის „ტრანსელექტრიკას“ ტექნიკურმა დირექტორმა დავით მირცხულავამ „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ორგანიზებით მოწყობილ შეხვედრაზე „თბილისი მერიოტში“ განაცხადა.

ენერგეტიკოსებს, ეკონომისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გამართულ შეხვედრა-დისკუსიაზე, რომელიც ხუდონჰესის პროექტს მიეძღვნა, დავით მირცხულავამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ გააკეთა განცხადება:

„გაჩნდა ინიციატივა, რომ ინვესტორმა იფიქროს ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზის მშენებლობაზე. სახელმწიფოსთან ერთად, ინვესტორი მიიღებს მონაწილეობას ამ გვირაბის მშენებლობაში. სვანეთი ზამთრის კურორტია, სათხილამურო სპორტისთვის გადასარევი ტრასებით. თეთნულდის ახალი საბაგირო გზები შენდება, სასტუმროები კი – ცარიელია. იანვრის განმავლობაში, მხოლოდ ახალ წელს იყო რამდენიმე სასტუმრო დატვირთული. როდესაც გზა განახლდება, იქნება საშუალება, კოპიტნარის აეროპორტიდან საათსა და 40 წუთში ადამიანი უშგულში მოხვდეს. ეს იქნება უზარმაზარი პლუსი ამ რეგიონის განვითარებისთვის. მაგალითად მოვიყვან იტალიის პატარა რეგიონს ვანდაოსტას. ამ რეგიონში საშინელი დემოგრაფიული მდგომარეობა იყო, მაგრამ, როდესაც რამდენიმე ასეთი დიდი ობიექტი განხორციელდა, საუბარი მაქვს ჰესებზე, დღეს ერთადერთი მთიანი რეგიონია იტალიაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა იზრდება.

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ არ ვართ ოპონენტები ერთმანეთის მტრები, ნურც ნურავინ იტყვის, რომ აი, იქით მხარეს, ან აქეთ მხარეს საქართველო არ უყვარს. საქართველო უყვარს ორივე მხარეს, მაგრამ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს. არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, რომ წყალსაცავის მშენებლობა და განსახლების თემა ადვილად გადასაწყვეტი საკითხი ყოფილიყო“.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ფონდი ნატახტარისა“ და „ასოციაცია ჩვენი სახლი — საქართველოს“ მიერ გამართული კონფერენციის მონაწილეები მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარებაზე ერთობლივად იმუშავებენ

„სოციალური პასუხისმგებლობა ბავშვზე ზრუნვის სფეროს განვითარებისთვის“ – ასეთი ბევრისმთქმელი სახელწოდება ჰქონდა შერჩეული კონფერენციის თემას, რომელიც „ფონდი ნატახტარისა“ და „ასოციაცია ჩვენი სახლი – საქართველოს“ ინიციატივით პროექტის „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში ჩატარდა.

კონფერენციაზე მიწვეულები იყვნენ ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე როგორც საჯარო უწყებათა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, მსხვილი ბიზნესკომპანიებისა და მედიის წარმომადგენლები.

რაც შეეხება ღონისძიების მიზანს, იდეის ავტორებმა სტუმრებთან ერთად მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ხელშეწყობაზე იმსჯელეს.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს მართლაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია და გამოცდილება გაუზიარეს, რაც, საბოლოო ჯამში, მათ ბავშვებზე ზრუნვის მიმართულებით უკეთესი და უფრო ეფექტიანი სტრატეგიის დაგეგმვაში დაეხმარებათ.

ღონისძიების პრაქტიკულად ყველა მონაწილე შეთანხმდა იმაზე, რომ ერთობლივი ძალებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან მუშაობა ბევრად უკეთესი შედეგების მომტანი იქნება – გარდა იმისა, რომ ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ უნდა დაივიწყოს არც ბიზნესსექტორმა, როგორც ეს კომპანია „ნატახტარის“ შემთხვევაში ხდება.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ნატახტარმა“ „ფონდი ნატახტარი“ 2011 წლის ნოემბერში დააარსა და მას შემდეგ დახმარება რამდენიმე ასეულ მზრუნველობამოკლებულ ბავშვს გაეწია.



კონფერენციის ორგანიზატორის საქველმოქმედო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თავისებურება ის არის, რომ ბავშვებზე ზრუნვის საშუალება ნებისმიერ ადამიანს ეძლევა – „ნატახტარის“ ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან 1, 3 და 5 თეთრი (შეფუთვების შესაბამისად) ფონდში ირიცხება და მთელი თანხა იმის მიხედვით ნაწილდება, რა სჭირდებათ მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს – განათლების მიღება, ხელობის დაუფლება, ბინის დაქირავება, რეპეტიტორებთან მომზადება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგალითისთვის, 2012-2013 წელს შეგროვდა 242 ათას 802 ლარი და მთელი ეს თანხა სრულად ბავშვების საჭიროებების შესაბამისად გაიხარჯა.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:**

– კონფერენციის მიზანი ჩვენი ძალისხმევისა და ხედვების გაერთიანება გახლდათ. გვინდოდა, ერთმანეთისთვის გამოცდილება გაგვეზიარებინა, რათა ამ სფეროში არსებულ პრობლემას ყველა ერთად გავუმკლავდეთ, უკეთ განვსაზღვროთ მომავალში სამოქმედო გეგმა. გადაწყვეტილია უფრო ვიწრო მიზნობრივი ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც კონკრეტულ პროექტებზე იმუშავებს. ჩვენ ძალიან გვინდა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების ხვალინდელ დღეზე ვიზრუნოთ მას შემდეგ, რაც ისინი სრულწლოვნები გახდებიან, დავასაქმოთ და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას შევუწყოთ ხელი. ისინი ხომ დამოუკიდებელი ცხოვრების პირისპირ უმეტესწილად აბსოლუტურად მოუმზადებლები რჩებიან. სწორედ ამ პრობლემაში გარკვევა და დახმარება გადაწყვიტა „ფონდმა ნატახტარმა“. პრობლემის გარშემო 3-წლიანმა მუშაობამ ბევრი რამ დაგვანახა და მივხვდით, რომ მზრუნველობამოკლებული მოზარდების პრობლემებში ჩართული ადამიანები და ორგანიზაციები ერთად შეგვეკრიბა, რათა უფრო კომპლექსურად შეგვეხედა პრომლებისთვის. ამიტომაც „ფონდი ნატახტარის“ ეგიდით მოვაწყვეთ კონფერენცია, სადაც მოვიწვიეთ ოთხი სფეროს წარმომადგენლები – ბიზნესი, სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია.

შედეგად, უკეთ გამოიკვეთა, სად არის უფრო მეტი საქმე გასაკეთებელი, დაისახა ახალი პრიორიტეტები და გეგმები. „ფონდი ნატახტარის“ ფარგლებში ამ ტიპის შეხვედრები სისტემატური იქნება, რადგან ჩვენი მთავარი ამოცანაა, მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს ყურადღება ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ მოაკლდეთ.

**მანანა ომარაშვილი, „ასოციაცია ჩვენი სახლი — საქართველო“:**

– ბავშვთა ზრუნვის სფეროში ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს, რათა ერთად შევძლოთ მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა. ჩვენი, უშუალოდ „ასოციაცია ჩვენი სახლისა“ და „ფონდი ნატახტარის“ მონაწილეობა განისაზღვრება იმით, რომ ფონდის საქმიანობით გვსურს სხვებს მაგალითი ვაჩვენოთ. წლების განმავლობაში საკმაოდ კარგი შედეგები გვქონდა – მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მცხოვრებ მზრუნველობამოკლებულ მოზარდებთან ვმუშაობთ და მათ ფსიქოლოგიურ სამსახურს ვუწევთ, პროფესიის მიღებაში ვეხმარებით. მაშინ, როცა ისინი 18 წლის გახდებიან და ბავშვთა სახლის დატოვება მოუწევთ, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ვამზადებთ. მათ უნდა ჰქონდეთ სპეციალობა, პროფესია, სამსახური...

**ვიქტორია ჟიჟკო, „მარგებელი ჰოლდინგის“ პიარმენეჯერი:**

– ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად ქველმოქმედება, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ქველმოქმედებას ეხება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი მზრუნველობამოკლებული ბავშვია და მათ ყველას მხარდაჭერა სჭირდება. ბიზნესსექტორი სახელმწიფოსთან ერთად ბავშვებს გვერდში უნდა ედგეს და პრობლემაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. „მარგებელი ჰოლდინგი“ არაერთი პროექტის განხორციელებას აპირებს და ყველანაირად ვეცდებით, „ნატახტარს“ გვერდში დავუდგეთ...

*მიხეილ სახვაძე*

# „ბაჩო ახალაიას მოგვანატრებთ!!!”

## რას უყვება „ალიას“ გეგუთის კოლონიის პატიმრის დედა

10 თებერვლის დილიდანვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გეგუთის კოლონიიდან ათობით დაჭრილი პატიმარი საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ღამით, სასჯელაღსრულების №14 დაწესებულებიდან საავადმყოფოებში გადაიყვანეს 17 მსჯავრდადებული. ყველა მათგანს აღმოუჩინეს სათანადო სამედიცინო დახმარება. ამ მომენტისთვის ყველა მსჯავრდადებული დაწესებულებაშია დაბრუნებული. თბილისიდან ჩასულმა პენიტენციური ჯანდაცვის გუნდმა გეგუთის დაწესებულების ექიმებთან ერთად დახმარება ადგილზე აღმოუჩინა 14-მდე პატიმარს, რომელთა მდგომარეობაც ასევე სტაბილურია. პატიმრებს თვითდაზიანებები ძირითადად ზემო კიდურებზე ჰქონდათ მიყენებული. კოლონიაში 876 პატიმარი მეოთხე დღეა შიმშილობს. პატიმრების ოჯახებს სუბარის უწყების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის არ სჯერათ და აცხადებენ, რომ თვითდაზიანება არა 17-მა, არამედ 300-მდე მსჯავრდადებულმა მიიყენა.

„ალიას“ პატიმრის მშობელი **ნინო აბაშიძე** დაუკავშირდა:

**— ქალბატონო ნინო, უკვე დადასტურდა, რომ ბევრმა პატიმარმა თვითდაზიანება მიიყენა, რატომ აკეთებენ ამას?**

– ციხის ადმინისტრაციის გამო. ახალი დანიშნულია ციხის დირექტორი და მან თავად უთხრა პატიმრებს, ბაჩო ახალაია მონაგონი იქნება, ისეთი რეჟიმი გეწყებათ ახლაო. მოსვლის დღიდანვე დაიწყო რეპრესიები, გადავიდნენ ყველა ზღვარს. ზუსტად ის ხდება ციხეებში, რაც „ნაციონალების“ დროს ხდებოდა, პატიმრების ცემა რომ ხდება, ეს ცხადია უკვე. კარგი, მე ვტყუი, სხვებიც ტყუიან? ადრეც ასე ხდებოდა, ჩემი შვილი და სხვისი შვილები რომ რეკავდნენ, თუ რა ხდებოდა ციხეებში, გაუპატიურების ფაქტებს მალავდნენ, ჯერ იყო და ადმინისტრაციის შიშით, მერე კი ოჯახის ნერვიულობა არ უნდოდათ. ახლაც მგონია, რომ ამას აკეთებენ. დაგვეხმარეთ, ვინმე სიმართლეს ხომ უნდა გვეუბნებოდეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსად დიმა დარბაისელს რომ ნიშნავდნენ, ვიცოდით, ასეთი ამბები დაიწყებოდა. თავადაა ისეთი ადამიანი, რა ჰუმანური სისტემა უნდა ჩამოაყალიბოს მაგან. მოაშორეთ ეს დარბაისელი, თორემ იგივე დაიწყება, რაც „ნაციონალების“ დროს იყო ციხეებში, გარწმუნებთ.

ჩემმა შვილმა დააშავა და სასჯელს იხდის, ამას არ ვაპროტესტებ, მაგრამ რასაც მეუბნება, იმ რეჟიმს ვერ შეეგუება და ასეთი ფსიქიკის ადამიანიც კი გადაიყვანეს ჭკუიდან, არ იყო ჩემი შვილი ამის გამკეთებელი, არ მიიყენებდა თვითდაზიანებას.

**— სახალხო დამცველმა რა გითხრათ, ხომ შევიდა მისი წარმომადგენელი ციხეში?**



– კი, შევიდა, მაგრამ რად გინდა მერე. არც მაქვს იმის იმედი, რომ იტყვის, ნაცემია პატიმარიო. შეიძლება, ყველა პატიმარი ასე გაგიჟდეს ერთდროულად, რომ ამბობდეს, „სპეცნაზი“ შემოიყვანეს, გვცემენ და გვაწიოკებენო? ამ ყველაფერს მაშინაც ტელევიზიით ვუყურებდი და დაუჯერებლად მიმაჩნდა, ახლა რა ვქნა, ახლა ხომ დავიჯერეთ, რომ მართლა ხდებოდა „ნაციონალების“ დროს. სადაა გარანტია, რომ იგივე არ ხდება, ამის წინაპირობები არ არსებობს. დამაჯერებელი არაა ოფიციალური პასუხები. ვენები გადაიჭრეს პატიმრებმა. ყველა ერთად გაგიჟდა? სტაციონარში რომ გადაიყვანეს, ხომ დადასტურდა. ვითხოვთ სიმართლეს, მეტს არაფერს. ვითხოვთ გამოძიებას, მართლა მოვიდა თუ არა ასეთი ტირანი ციხის ადმინისტრაციაში? ვითხოვთ სიმართლეს, რატომ უნდა დამყარდეს უკანონო რეჟიმი ციხეში კანონის სახელით? ჩემ გვერდით ქალი იდგა ციხესთან და იმან ისიც კი მითხრა, ზოგიერთი პატიმარი მიჰყავთ გეგუთიდან და სხვაგან გადაჰყავთო. ამაზეც გვინდა პასუხი.

„ალია“ კომენტარისთვის **სასჯელაღსრულების პრესსამსახურის წარმომადგენელს, თაია მახარაშვილს** დაუკავშირდა:

**— თაია, მეოთხე დღეა არეულობაა გეგუთში, თუ ყველაფერი რიგზეა, რატომ არ რეგულირდება სიტუაცია? პატიმრების ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ადმინისტრაციის მხრიდან წნეხს განიცდიან.**

– არანაირ წნეხს ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრები არ განიცდიან. მათი მხრიდან არც ერთი პატიმრის უფლება არ ირღვევა. ისინი მოვალეობას ასრულებენ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, კანონის ფარგლებში ხდება ყველა სარეჟიმო ღონისძიება, რაც ხორციელდება დაწესებულებაში.

**— თუ ასეა, ამხელა აგრესია რატომ აქვთ პატიმრებს ახალი ადმინისტრაციის მიმართ?**

– საქმე ისაა, რომ რამდენიმე სარეჟიმო ღონისძიება განხორციელდა დაწესებულებაში, რაც მსჯავრდადებულებისთვის მიუღებელია. ამ სარეჟიმო ღონისძიებების მიზანია, მსჯავრდადებულების მართვა მოხდეს კანონის ფარგლებში. როგორც ჩანს, მსჯავრდადებულები ამას ვერ ეგუებიან.

**— ციხის ახალ ხელმძღვანელს უთქვამს პატიმრებისთვის, ბაჩო ახალაიას დროს მოგანატრებთო. ეს გამოიკვლიეთ, თქვა ასეთი რამე?**

– ეს ფრაზა არ თქმულა. მსჯავრდადებულები რას ამბობენ, ეს ერთია და მეორეა, რა არის სიმართლე. არავინ არავის არ ემუქრება მსგავსი ფრაზებით.

**— ითქვა, რომ პატიმრები საბოტაჟს აწყობენ და მათ ვიღაც მართავს. მართლა ასეა, ვინმე მართავს?**

– არა მგონია, რომ ეს საბოტაჟია, მე ასე ვერ ვიტყოდი. ადმინისტრაცია კანონის ფარგლებში ახორციელებს მოქმედებას. ასრულებს მოვალეობას, რომ წესრიგი არსებობდეს.

**— ეს პროცესი გრძელდება 4 დღეა და საშიში ფორმები რომ მიიღოს, მზად არის უწყება, აღკვეთოს ასევე კანონის ფარგლებში და კითხვებზე პასუხები გასცეს?**

– არ მიიღებს საშიშ ფორმებს. ყველაფერი კანონის ფარგლებშია და სიტუაცია კონტროლდება, მაგრამ თუ მდგომარეობა გართულდა, მაშინ ასევე კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16


# „გალფი“ მომხმარებელს ახალ ლოიალურ ბარათს სთავაზობს

## იჩქარეთ და გახდით Gualf Club-ის წევრი!



„გალფი“ მომხმარებელს სასიამოვნო სიახლეს სთავაზობს, გახდით **Gualf Club**-ის წევრი და თქვენ მიიღებთ საწვავზე ფასდაკლებას, ავტომატურად ჩაერთვებით „გალფის“ რადიოგათამაშებაში და „გალფი“ თქვენ დაგასაჩუქრებთ! ნავთობპროდუქტების ბაზარზე ეს ინოვაციური პროექტი დღეიდან ამუშავდება.

**Gualf Club**-ის სახელით კომპანია „გალფმა“ მის მომხმარებელს მომენტალური ფასდაკლებისა და ქულების დაგროვების ბარათი შესთავაზა, რომლის მეშვეობითაც ყოველ შეძენილ ერთ ლიტრ საწვავზე 3-თეთრიანი ფასდაკლებით სარგებლობაა შესაძლებელი. ყოველ მომდევნო 500 ლიტრი საწვავის შეძენის შემდეგ კი მომხმარებელი ახალ საფეხურზე გადადის და ფასდაკლების ოდენობა 6 თეთრამდე იმატებს.

გარდა ამისა, **Gulf Club** -ი მომხმარებელს ქულების დაგროვებასაც სთავაზობს, – ყოველ შეძენილ ერთ ლიტრ საწვავზე ბარათებზე ერთი ქულა ირიცხება, დაგროვილი ქულების დახარჯვა კი შესაძლებელია „გალფ სთორის“ მაღაზიათა ქსელში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის დროს.

**Gualf Club**-ის დაგროვებითი ბარათი უფასოდ გაიცემა „გალფის“ ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე, აღსანიშნავია, რომ ფასდაკლებისა და ქულების დაგროვების გარდა, კომპანია **Gualf Club**-ის წევრებს მომავალში უამრავ სიახლეს ჰპირდება, რომელსაც „გალფის“ ხელმძღვანელობა თავის მომხმარებელს ძალიან მალე გააცნობს.



**Gulf Club** ბარათის მოხმარების წესი: **Gulf Club** ბარათის გამოყენება მომხმარებელს შეუძლია „გალფის“ ავტოგასამართი სადგურების ქსელში მთელი საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერი საწვავის შეძენისას. ერთ პიროვნებაზე გაიცემა მხოლოდ ერთი ბარათი სრულიად უსასყიდლოდ, ბარათის მისაღებად მომხმარებელმა უნდა შეავსოს საინფორმაციო ანკეტა. ბარათი აქტიურდება მფლობელის მიერ მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში. მომხმარებელი იღებს მომენტალურ ფასდაკლებას საწვავზე და აგროვებს ქულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიძენს საწვავს „გალფში“ და **Gualf Club** ბარათს გასატარებლად მიაწვდის ჩამსხმელ ოპერატორს. ასე რომ, იჩქარეთ, **Gualf Club** ბარათთან ერთად ცხოვრებაც გაგიოლდეთ.

## რუსთავში მიკროავტობუსების მძღოლები გაიფიცნენ

რუსთავში შიდასაქალაქო და თბილის-რუსთავის ხაზებზე მომუშავე მიკროავტობუსების მძღოლები გაიფიცნენ. გაფიცულები სპეციალური კომისიის მიერ მგზავრთა გად-



ამყვანი სატრანსპორტო კომპანიებისათვის შემუშავებული საკონკურსო წესის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და კონკურსის ჩატარების ვადის 3-5 წლით გადაწევას მოითხოვენ. აღნიშნული წესი რუსთავის საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა.

საკრებულოს თავმჯდომარე კახა გურგენიძე აცხადებს, რომ წესის დამტკიცების შემდეგ მძღოლებსა და მგზავრთა გადამზიდავ კომპანიებს საშუალება ექნებათ, მერიასთან ერთობლივი მუშაობის შედეგად მაქსიმალურად ლიბერალურ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა და კონკურსის ჩატარების ვადაც შესაბამისად იქნება განსაზღვრული. მისივე თქმით, ადგილობრივ გადამზიდავთა უფლებები დაცული უნდა იქნას.

რუსთავის მერის, დავით ჯიქიას განცხადებით, საკრებულომ მხოლოდ კონკურსის ჩატარების წესი დაადგინა და დრო ჯერ დადგენილი და გამოცხადებული არ არის. (ინტერპრესნიუსი)

# სკოლის დირექტორების უცნაური შესარჩევი კონკურსი

## როგორ გავიდნენ დაბალქულიანები მაღალქულიანების ნაცვლად?

სკანდალი, რომელიც დირექტორთა შესარჩევი კონკურსის შემდეგ აგორდა, ჯერ არ ჩამცხრალა. შეგახსენებთ, სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასული წლის აგვისტოში გამოაცხადა. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა, პირველი ეტაპი ითვალისწინებდა კომპიუტერიზებულ გამოცდას, სადაც გამსვლელი ქულა 72 იყო, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ, კონკურსანტებს უკვე გასაუბრება ელოდათ წინ, რაც, პრინციპში, გადამწყვეტი აღმოჩნდა. კონკურსი დროში გაიწელა და უკვე 2014 წლის 6 თებერვალს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ კონკურსში გასული დირექტორების სიაში უამრავი დირექტორობის მსურველი, მიუხედავად მათი მაღალი ქულებისა, სიის გარეთ აღმოჩნდა. 10 თებერვალს გარეთ დარჩენილმა კანდიდატებმა სამინისტროს მიაშურეს, სადაც დაჰპირდნენ, რომ მათ მინისტრის მოადგილე ეკა გიგაური შეხვდებოდათ. შეხვედრაზე ჟურნალისტები არ დაგვიშვეს და უცნაური პასუხი გაგვცეს: შეხვედრა დახურულია და იქ ჟურნალისტებისთვის ადგილი არ არისო. გვესმის, ეს რომ შიდა სამუშაო შეხვედრა ყოფილიყო და სამინისტროს თავად გამოეძახა პედაგოგები, სხვა შემთხვევაში „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მედიის წარმომადგენელს ინფორმაციის მოპოვების უფლებას არ უკრძალავს.

ფოიეში შეკრებილი იყვნენ დირექტორები, რომლებიც დაგვიანებით იყვნენ მოსული შეხვედრაზე და ყველაზე ცუდი აქ ვნახე: ვერც ერთმა თბილისელმა დირექტორობის კანდიდატმა ვერ გაბედა გაზეთთან ღია საუბარი, შიში იმდენად მძლავრადაა მათში გამჯდარი. ბოლოს, ჩემი რკინისებური დაპირების შემდეგ, რომ ინკოგნიტოდ დავტოვებდი, ლაპარაკზე დამყაბულდნენ.

**(მაღალი, შავპალტოიანი ქალი):**

– ჩვენ ვართ შეურაცხყოფილები, რადგანაც გვაქვს 98,



92 და 86 გამსვლელი ქულა და გარეთ დავრჩით. ამ დროს ჩვენზე დაბალი ქულები ვისაც ჰქონდა, ის სიებშია, თან ისეთი ხალხი, ვინც ტიროდა, ვერ მოვხვდებითო. როგორც გვითხრეს, ამ კონკურსში მთავარი იყო სწორედ გასაუბრება, რადგანაც მანამდე ასე პირდაპირ, ვერ გამოგვყრიდნენ, რაც საპასუხო და ჩასაბარებელი იყო, ის ჩავაბარეთ. ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს და რომ გადახედოთ სიებს, „ნაციონალები“ არიან სრულად მოხვედრილები, „დაჟე“, შაშკინის დროინდელი დირექტორები გაიყვანეს. ამიტომაც გაწელეს და არ დააყენეს საშველი ამ კონკურსის შედეგების გამოცხადებას. „ნაციონალების“ დროსაც ვმონაწილეობდი კონკურსში და იქ ყოველ მეათე დღეს იდებოდა ინფორმაცია, აქ ერთი ნაკადი 11 ნოემბერს გავიდა გასაუბრებაზე და მეორე ნაკადი, 30 კაცი, 26 დეკემბერს და 6 თებერვალს დადეს ბოლო სია, რასაც მერე დაამატეს კიდევ სამი კაცი, გამოგვრჩაო და რა გამორჩათ? ამდენი ხანი გაჩერებული იყო და ვერ შეთანხმდნენ სიაზე?

**— სულ რამდენი დირექტორი მონაწილეობდით?**

– სულ თავიდან, როცა სერტიფიცირება დაიწყო, ვიყავით 3100 დირექტორობის მსურველი, აქედან 1700-მა ჩაბარა გამოცდები. ამ 1700-იდან გასაუბრების ეტაპის გავლის შემდეგ დარჩა 1105 პედაგოგი, მაგრამ ეს გაჟღერდა სამინისტროს „ფეისბუკის“ ინფორმაციით. ამის შემდეგ უკვე დაიდო სია, იქ იყო 918 კანდიდატი, რასაც მერე დაუმატეს კიდევ სამი, „გამორჩენილი“. 127 კაცი დაკარგეს და დაკარგულები ჩვენ ვართ. რას მიაქციეს ყურადღება, არ ვიცი, ამ დროს 98 ქულა მაქვს აღებული.

**— ვინ იყო გასაუბრებაზე სამინისტროს მხრიდან?**

– არ ვიცით. სამინისტროდან თუ იყვნენ, ესეც არ ვიცით, მგონი, ფსიქოლოგები იყვნენ. ყველა კითხვას გავეცი პასუხი, რასაც ახლა ითხოვენ, რომ დირექტორი უნდა იყოს სამართლიანი, კომუნიკაბელური, კრეატიული, რომ უნდა იზრუნოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და ვთქვი, რომ იმ 2 წლის მანძილზე, რაც დირექტორი ვარ, ასეც ვიქცევი და მიუხედავად იმისა, რომ, წესით, არ უნდა დამეფიქსირებინა ჩემი პოლიტიკური ხედვა, მაინც გავამხილე, რომ ვარ „ოცნების“ მხარდამჭერი. თუ ეს დანაშაულში მეთვლება, არ ვიცი.

**(ფერადკაშნეიანი ქალი):**

– ანუ, დარჩნენ ისევ ძველი დირექტორები, ძველი სასწავლო ნაწილები, ჩაჭრილებიც არსად არ ჩქარობენ და საკმაოდ შორსმიმავალი გეგმები აქვთ, არ ვიცით, რა გარიგება აქვთ სამინისტროსთან.

**— ხომ არ გაგიგიათ, გამოქვეყნებულ სიაში ჩაჭრილები თუ მოხვდნენ?**

– ეგ არ ვიცი, მაგრამ ძალიან შეურაცხყოფილები ვართ ამ გასაუბრებით და სამინისტროს გადაწყვეტილებით. აქ იმიტომ მოვედით, რომ ვითხოვთ პასუხს, რა მოხდა. მოგვცენ ის დოკუმენტაცია, რითიც უნდა ვიმოქმედო, რადგან ეს ამბავი უნდა გავასაჩივრო. გვითხრეს, სასამართლოში იჩივლეთო და აუცილებლად ვიჩივლებ. გავიდა ჩემი ცხოვრება, სულ ასე თავდახრილი რომ ვიყავი. ამ დროს 2/3-დი ადგილებია დარჩენილია და ეტყობა, კიდევ ჩაატარებენ კონკურსს, მაგრამ ჩვენ მოგვეცემა თუ არა მონაწილეობის მიღების საშუალება, არ ვიცით. 2007 წელს რომ ჩატარდა კონკურსი, 10 დღე გვქონდა გასაჩივრებისთვის. ახლა გვეუბნებიან, გასაჩივრება – არაო, პირდაპირ სასამართლოში წადითო, და რომც მომცენ გასაჩივრების უფლება, რა გავასაჩივრო? გასაუბრების ჩანაწერი ხელში არ მაქვს და რა ვთქვა? თუ არსებობს ვიდეოჩანაწერი, ისეც არ ვიცით. რომელ სკოლაშიც გენინსპექცია შევიდა და დარღვევის გამო დირექტორები მოხსნეს, ის დირექტორები არიან სიაში.

**„ალია“ კომენტარისთვის განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ნატა ასათიანს დაუკავშირდა:**

– შეხვედრაზე, ზოგადად, გამახვილდა ყურადღება იმ პრეტენზიებზე, რაც კონკურსის მონაწილეებს ჰქონდათ, რომლებსაც აქვთ პრეტენზია კომისიის წევრების მიმართ, შეუძლიათ, წერილობით მოგვმართონ. კი, იყვნენ კანდიდატები, რომლებსაც ჰქონდათ ძალზე მაღალი ქულები, მაგრამ გადამწყვეტი იყო გასაუბრება და მათ აფასებდა კომისია მრავალი კუთხით, მათ შორის, ფსიქოლოგები და შემდეგ ოქმი დგებოდა.

**— „ნაციონალები“ გასულან უმრავლესობა დირექტორებად?**

– ამ ნიშნით დისკრედიტაცია ვერ მოხდებოდა, თუ გასაუბრებაზე თავი პოზიტიურად წარმოადგინა და კომისიას მოეწონა პიროვნება, ის ადრე ვინ იყო, რა მნიშვნელობა აქვს?

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გვიჩიანისა და ჩემიას სასამართლო 4 მარტს გაიმართება



სასამართლომ სამუდამო პატიმრობაში მყოფი ნიკა ჩემიასა და გია გვიჩიანის სასამართლო პროცესზე, დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. დაცვის მხარის შუამდგომლობა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის გამოკვლევას შეეხება.

მოსამართლეს წარედგინა დაცვის მხარის შუამდგომლობა, შესწავლილიყო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი. როგორც დაცვის მხარე აცხადებდა, ეს ოქმი გაყალბებულია და მას უნდა მოეხსნას გრიფი „საიდუმლო“. ამ შუამდგომლობას შეეწინააღმდეგა პროკურორი. მან განაცხადა, რომ დაცვის მხარემ აღნიშნული შუამდგომლობა საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარადგინა, რადგან ეს არ არის ის ეტაპი, რა ეტაპზეც დაცვის მხარემ შუამდგომლობა უნდა წარადგინოს. თუმცა, მოსამართლემ მსჯელობის შემდეგ მაინც მიიღო გადაწყვეტილება და დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

როგორც ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი არის შედგენილი სხვადასხვა ხელით და სხვადასხვა საწერი კალმით. ეს აშკარად მიუთითებს დოკუმენტის გაყალბებაზე. შემდეგი პროცესი 4 მარტს გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)

## სასჯელაღსრულების სამინისტროსთან აქცია გაიმართა



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ და მოძრაობა „ქართულმა რეალობამ“ აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ მინისტრ სუბარის გადადგომას და ციხეებში მონიტორინგის ჩატარებას.

როგორც აქციის ორგანიზატორმა ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა: „საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ თვითდაზიანებას ისინი არ მიიყენებდნენ და იქ განხორციელდა ფიზიკური ზემოქმედება კონკრეტულ პატიმრებზე. ამიტომ, ჩვენი მოთხოვნაა, რომ სოზარ სუბარმა აიღოს პასუხისმგებლობა და კეთილი ინებოს, გადადგეს თანამდებობიდან“, – განაცხადა კობაიძემ.

მისივე თქმით, აქციები იქამდე გაგრძელდება, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

აქციის მონაწილეებმა სოზარ სუბართან შეხვედრა ისურვეს, თუმცა სამინისტროს ადმინისტრაციამ მათ უარი მინისტრის მოუცლელობის გამო უთხრა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ გუგუშვილი: „თავიდანვე ვაცხადებ, რომ ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ! მე აქ ოქრო შეუიარაღებელი თვალით არ მინახავს და ჩვენი წინაპრები როგორ მოიპოვებდნენ?“



წლების მანძილზე რაღა არ გვინახავს, მაგრამ საყდრისისნაირი დაუსრულებელი თავსატეხი ბევრი არ გვახსოვს. რატომ გახდა ის ობიექტი ქრისტეს პერანგი, კაცმა არ იცის, რადგან უკვე კარგა ხანია, მთავრობა და კულტურის სამინისტრო აიწონა-დაიწონას თამაშობს, ამ დროს კულტურის სამინისტროს ერთი თითის მიშველება უნდა, რომ პინა რომელიმე მხარეს გადაიწონოს. ცუდი ისაა, რომ თმენის ჰორიზონტზე იმ ერთი თითის მიმშველებელი არავინ ჩანს, არადა დრო გადის. თუმცა...

მოკლედ, წინა კვირას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, საყდრისთან დაკავშირებით კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი(!) და სულ მალე აეხდება ფარდა საუკუნის საიდუმლოებასო: „საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, მომავალ კვირას იქნება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა, ძეგლი უნდა დავიცვათ. კიდევ გამოსაკვლევი და შესასწავლი ბერი რამ არის და ახლა ეს პროცესი მიმდინარეობს. მომავალ კვირას შესაძლოა, თქვენთვის საინტერესო ბევრი რამ გახდეს ცნობილიო“.

მომავალ კვირას არ ვიცით და ამ წამს უკვე საინტერესოა: ეტყობა, გურამ ოდიშარიამ, როგორც იქნა, აქამდე გადამალულ ალიოშა დევდარიანის არქივს მიაკვლია და აღმოაჩინა ინფორმაცია, რომ საყდრისი თურმე ისევ ძეგლია! კი მაგრამ, დალოცვილო, ათი დღის წინ „რუსთავი 2“-ის სტუდიაში შენ არ იყავი, „ვ გორდომ ადინოჩესტვე“ მჯდარი ხმამაღლა რომ უსწორებდი ხალხს, საყდრისი ობიექტია და არა ძეგლიო? და ამ რამდენიმე დღეში რა მოხდა? სერიოზული უწყების პირველი პირის ასეთი არასერიოზულობა და მერყეობა ვის გაუგია, ბატონო ოდიშარია?!

ოქროს მომპოვებელი კომპანია „**RMG gold**“-ი დიდი ხანია მთავრობისგან გარკვეულ პასუხს ითხოვს და მას აქ კიდეც ამის სრული უფლება, რადგანაც საყდრისის ტერიტორიაზე მადნის ძებნა-ძიებისა და დამუშავების ლიცენზიის მფლობელია და, რასაც ვუყურებთ, კიდევაც დიდხანს ითმინა. კიდევ რამდენჯერ უნდა გამოიყოს მეცნიერული კომისია, რომლის დასკვნასაც მერე თავად არ დაუჯერებთ? კიდევ რამდენჯერ უნდა ინახოს ადგილზე საყდრისის ობიექტი? რამდენჯერ უნდა ვამხილოთ ზოგიერთი ვაი-მეცნიერი ვერცხლისმოყვარეობაში? არ მოგბეზრდათ წრეზე სიარული? თუ არა, მაშინ „**RMG gold**“-ი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ აქსიომას, რასაც ამდენი ხანი ამტკიცებს და რასაც კულტურის სამინისტრო სულ ცოტა ხნის წინ ორივე ხელის აწევით ეთანხმებოდა:

**„არც ერთ ნაყარში არქეოლოგიური ნივთი არ აღმოჩენილა!“**

**„არც გადანაყრის ქვეშ არქეოლოგიური ობიექტი არ აღმოჩენილა!“**

**საყდრისში ბორცვის ჩრდილო და ჩრდილო**



**აღმოსავლეთ კალთებზე არის დელუვიონით შევსებული ნაპრალები და გაკეთებულ პროფილებსა და ჭრილებში არ დასტურდება კულტურული ფენები“.**

**„მადნის მოპოვება ძველ პერიოდში არ დასტურდება“.**

**საუბრობს გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ გუგუშვილი.**

– თავიდანვე ვაცხადებ, რომ ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ! ბოლნისის მადნიანი რაიონის ტერიტორიაზე 35 წელია ოქროს მადნის კვლევებზე ვმუშაობ, საყდრისი ბოლნისის ერთ-ერთი უბანია, მთელი ეს ტერიტორია საკუთარი ხუთი თითივით ვიცი: მე აქ ოქრო შეუიარაღებელი თვალით არ მინახავს, აქ ოქროს მხოლოდ ძლიერი გამადიდებლობის მიკროსკოპით თუ დაინახავთ. ამ მიდამოებში ოქროს ორი ტიპი არსებობს, ერთია, სპილენძ-პოლიმეტალურ მადანთან და მეორე, კვარც-ქალცედონურ ძარღვებთან და კვარციტებთან დაკავშირებული ოქრო, მაგრამ არც სპილენძის ძარღვებში და არც კვარც-ქალცედონურ ძარღვებში, ოქრო შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს.

**— და ოქროს შემცველობა რამდენია აქ ტონაზე?**

– საშუალოდ 1-2 გრამი ტონაზე, ეს წვრილდისპერსული თვალით უხილავი ოქროა.

**— ეს ტერმინი რას ნიშნავს — „წვრილდისპერსული ოქრო“?**

– ანუ, უწვრილესი და თვალით უხილავი მარცვლებია. როგორც უკვე გითხარით, აქ ოქროს დადგენა შესაძლოა მხოლოდ მიკროსკოპის ქვეშ და ქიმიური და სპექტრალური ანალიზით.

**— აბა, როგორ ხედავდნენ მაშინ ჩვენი წინაპრები?**

– არაფერსაც არ ხედავდნენ. მე- 4-5 ათასწლეულის ადამიანი ამას ვერ შეძლებდა, რადგან, მოგეხსენებათ, მაშინ მიკროსკოპი არ არსებობდა, ასევე არც ქიმიური და სპექტრალური ანალიზი და გამოდის, რომ ეს შეუძლებელი იყო. ისე, რაც შეეხება ოქროს ძიების ისტორიას საქართველოში, ამასთან დაკავშირებით პატარა პრეისტორიას გიამბობთ: მეორად კვარციტებში და სპილენძ-პოლიმეტალურ მადანში ოქროს არსებობა დადგენილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70 წლებში, ისიც მხოლოდ თანამედროვე ანალიზის საშუალებით. აქ საუბარია არა ქვიშრობულ ოქროზე, არამედ იმ ოქროზე, რომელიც ქანშია. თავად ქვიშრობული ოქრო ადრე იყო ცნობილი, მაგრამ რაც შეეხება ძირითად ქანებში არსებულ ოქროს, 1992-1993 წლებამდე მისი მიპოვება არ ხდებოდა და შეუძლებელიც კი იყო, რადგანაც საქართველოში არ არსებობდა ოქროს მოპოვების ტექნოლოგია. მხოლოდ 90-იან წლებში ავსტრალიელებმა საქართველოში შემოიტანეს ოქროს ციანირებით მოპოვების თანამედროვე ტექნოლოგია, რასაც ოქროს მოპოვების ბუმი მოჰყვა საქართველოში.

**— თქვენ გულისხმობთ კვარციტის ოქროს მოპოვებას?**

– დიახ, ზუსტად ამას. ოქრო-სპილენძპოლიმეტარული მადნიდან ოქროს მოპოვება უფრო ადრე ხდებოდა, მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ბოლნისში მადნეულის გამამდიდრებელი კომბინატის აშენების შემდეგ. ამ ტიპის მადნის გადამუშავება და სპილენძ-ოქროსშემცველი კონცენტრატის მიღება მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიით – ფლოტაციის საშუალებით ხდება. ამგვარად ქართულ-გერმანული პროექტის მონაწილეთა დასკვნების მიუხედავად ჩვენი წინაპარი IV-V ათასწლეულში აქ ოქროს თვალით ვერც იხილავდა და ვერც მის მოპოვებას შეძლებდა.

**— ჩვენი წინაპარი ხვდებოდა, სად იყო ოქროო.**

– შეუძლებელია, ჩემო ბატონო, რომ მას კვარცის ძარღვების მსხვრევა დაეწყო, სადაც ოქრო თვალით უხილავია. მე-4 ათასწლეულის ადამიანი ძირითადი მადნიდან ოქროს მოპოვებას ვერ შეძლებდა! ყაჩაღიანის უბანზე არსებული არტეფაქტები ბაზალტისა და ანდეზიტის ქვარგვალებია და რქის იარაღი მათზე მნიშვნელოვნად მკვრივ კვარც-ქალცენონის ძარღვს ვერ დაამსხვრევდა და იმდროინდელი ადამიანი არც დააპირებდა იმის მტვრევასა და დამუშავებას, თუნდაც გახურების, შემდეგ, რასაც თვალით ვერ ხედავდა, მისთვის არ არსებობდა!

ყაჩაღიანის უბანზე არსებობს რკინასპილენძის ძარღვები. ეს ძარღვები შესაძლოა ოქროს შემცველიც ყოფილიყო, თუმცა ამგვარი ძარღვიდან ოქროს მოპოვება მხოლოდ თანამედროვე ფლოტაციური ტექნოლოგიით არის შესაძლებელი. ჩვენს წინაპარს ამ ძარღვიდან სპილენძის მოფხეკა, ალბათ, შეეძლო, ოქროს მოპოვება კი – გამორიცხულია. მოკლედ, ოქროს მოპოვება აქ 70-იან წლებში დაიწყო და ეს მოხდა მადნეულის გამამდიდრებელი კომბინატის აშენებისა და მწყობრში ჩადგომის შემდეგ, მაგრამ სუფთა სახით ოქროს ვერც ისინი იღებდნენ. ახლა რა ხდება: დღეს მიღებული სპილენძ-სულფიდური მადნებიდან მიღებული კონცენტრატები შეიცავს ტონაზე 18% სპილენძს და 10 გრამ ოქროს, საიდანაც სუფთა ოქროს ჩვენც კი, დღესაც თანამედროვე ტექნოლოგიით ვერ ვიღებთ – ამას სპეციალიზებული მეტალურგიული ქარხანა სჭირდება, ამიტომ სუფთა ოქროს მოსაპოვებლად კონცენტრატი იგზავნება ევროპაში, სადაც ამისთვის სპეციალიზებული ქარხნები არსებობს. რაც შეეხება ოქროს შემცველ მეორად კვარციტებს, აქედანაც ოქროს სუფთა სახით ვერ ვიღებთ, ვიღებთ მხოლოდ ოქრო-ვერცხლის შენადნობს, ე.წ. „დორეს“, რომელიც შემდგომ საზღვარგარეთ იგზავნება აფინაჟისთვის სუფთა ოქროს მისაღებად.

**— ეს ბრინჯაოს ხანაა და სპილენძი მართლაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მათთვის!**

– შესაძლოა, თუმცა სპილენძის მოპოვებაც არ არის დადასტურებული, ესეც საეჭვოა! მაგრამ ქანიდან ოქროს მოპოვება აქ ნამდვილად არ წარმოებდა. ამავე დროს ყაჩაღიანის ობიექტი IV-V ათასწლეულში ძირითადი ქანიდან ოქროს მოპოვების მსოფლიოში უძველეს ძეგლად იყო შერაცხული 2006 წელს, გერმანულ-ქართული პროექტის საფუძველზე.

**— რაც შეეხება აქაურ არტეფაქტებს?**

– მაგაზეც მოგახსენებთ: ბუნებრივია, არქეოლოგიურ ობიექტებს გაფრთხილება სჭირდება და აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, აღნიშნული არტეფაქტები, სპილენძის შემცველი მადანი და აღწერილი კვარციტებისა და კვარცის ნიმუშები გადატანილი იქნას კომპანიის ხარჯზე აშენებულ მუზეუმში, სადაც განთავსდება სხვა სამთო ობიექტების არტეფაქტებიც და ამით ბოლნისის მადნიან რაიონში, საქართველოს ამ ყველაზე პერსპექტიულ სამთო მრეწველობის რეგიონში დაფუძნდება სამთო მრეწველობის მუზეუმი.

**— არქეოლოგები ამბობენ, რომ აქ მოპოვებულ იქნა 150 კილო ოქრო.**

– და თუ მადანი შეიცავდა 2-3 გრამ ოქროს ტონაზე, წარმოგიდგენიათ, რამდენი ტონა კვარცის ძარღვი უნდა მოენგრიათ, რომ ეს 150 კილო ოქრო მიეღოთ? ან რამდენი ფუჭი ქანი უნდა იყოს აქ დაგროვილი? სად არის ეს მთები? იქნებ არის და ვერ ვხედავთ? გვითხრან, ლაპარაკს ფაქტები უნდა და სად არის ეს ფაქტები?

მოკლედ, ფაქტები არ არის! 150 კილო ოქრო არ არის! ფუჭი ქანები არ არის! და მაშინ რა არის? გაწელილი დრო და დათხრილი ნერვები! ამიტომ, ეგება გვიშველოს ახალმა მთავრობამ და გაგვარკვიოს საქმეში, კიდევ ერთხელ უთხრას საზოგადოებას და აქ მომუშავე „**RMG gold**“-ს, როგორ მოიქცეს, კიდევ დაელოდოს გაუგებრობის გარკვევას კაი ხანს, თუ პირდაპირ დაშნების ყლაპვაზე გადავიდეს?

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# ამერიკელი სენატორების სკანდალური წერილი

## საქართველო „მაპ“-ს მიიღებს?



რუსეთი, სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, საქართველოზე დარტყმას რომ აპირებს, ამაზე ექსპერტები დიდი ხანია საუბრობენ. ეს არ იქნება სამხედრო ოპერაცია, თუმცა მას აქვს ზემოქმედების ისეთი ბერკეტები, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება გამოწვიოს და სისხლისღვრის გზით წავიდეს. რუსეთის სპეცსამსახურებმა ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაიწყეს და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ანტიპროპაგანდით ცდილობს ნიადაგის მოსინჯვას. ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პუნქტად წერია, რომ „ლგბტ“ საზოგადოების კრიტიკის უფლებაც კი ერთმევა მოსახლეობას, არათუ მათი აკრძალვის მოთხოვნით გამოსვლები. ასევე საუბარია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ეროვნული უმცირესობებისთვის ავტონომიის მინიჭება და რელიგიური უმცირესობების გათანაბრება, „თურქი მესხების“ ჩამოსახლება და ა.შ. საქართველოს ხელისუფლება მთელ რიგ ვალდებულებებს კისრულობს, რის წინააღმდეგაც მოსახლეობა გაილაშქრებს და გამოჩნდებიან პარტიები, მათ შორის კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნით, რომლებიც ამ აქციების ორგანიზატორებად გამოვლენ და ზურგს რუსეთის გაუმაგრებთ.

რუსეთის ეს სცენარი აშშ-მ თუ დაუშვა, გამოდის, ის კავკასიაზე გავლენას საბოლოოდ კარგავს. საქართველოში უკრაინა არ უნდა განმეორდეს, ეს ამერიკელების იდეაფიქსია, ევროკავშირი უკრაინისთვის ბრძოლაში ჩაფლავდა და ეს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ვიქტორია ნულანდის სატელეფონო ჩანაწერიდანაც გამოჩნდა, როცა მან ევროკავშირს აგინა და ევროპამ პასუხი ვერ გასცა. დღეს, ამერიკელების ყურადღება საქართველოზეა მიმართული, შესაძლოა, ევროკავშირს სულაც არ ადარდებს საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და არც ის, თუ როდის შევა საქართველო ევროკავშირში, რადგან თვითონ ევროკავშირი ორადაა გაყოფილი – კრედიტორებად და დებიტორებად, მაგრამ აქ მთავარი დომინანტი აშშ-ა, რომელიც დაინტერესებულია, რომ საქართველო რუსეთს წაჰგლიჯონ და ევროკავშირის სივრცეში შევიდეს, მხოლოდ ამ გზით წაართმევს ამერიკა რუსეთს საქართველოზე ზეწოლის ბერკეტებს. შემთხვევითი არ არის, რომ ევროპა დაჩქარებულ რეჟიმში გვაწერინებს ხელს ასოცირების ხელშეკრულებაზე, ესაა რეკორდული სისწრაფე და ევროკომისარმა ბარუზომ კიდეც იხუმრა ღარიბაშვილთან შეხვედრისას, გინესის რეკორდების წიგნში ხართ შესაყვანიო.

არც ისაა შემთხვევითი, რომ 42 ამერიკელი კონგრესმენი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს წერილით მიმართავს და მოუწოდებს მჭიდრო თანამშრომლობა გააგრძელოს ნატო-ს ასპირანტ ქვეყნებთან, კერძოდ, საქართველოსთან და მოითხოვენ მიმდინარე წლის სექტემბრის სამიტზე საქართველოსთვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის – „მაპ“-ის მინიჭებას. კონგრესმენების მოსაზრებით, უკრაინაში განვითარებული მოვლენები მიანიშნებს, რომ შესაძლოა, რეგიონის ქვეყნებზე გარე ძალების მხრიდან მოხდეს ძლიერი ზეწოლა.

მაინც, რას ნიშნავს კონგრესმენების წერილი, რატომ ჩქარობენ ამერიკელები? რატომ თვლიან ექსპერტები რომ „ნატო“ შორეული პერსპექტივაა. პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, ამ წერილის ავტორებმა, ძალიან კარგად იციან, რომ მათი მიმართვა ესაა ფუჭი გასროლა და აზრს ვერ შეაცვლევინებს ვერც ბერლინს და ვერც პარიზს, „ნატოს“ სხვა წევრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საქმე ისაა, რომ ჩვენსა და ამერიკას შორის, სტრატეგიული ურთიერთობის ქარტიის ჩარჩოებში არასოლიდურად გრძელდება პაუზა, ჩვენი ყოფილი პრემიერი ისე მოვიდა და წავიდა, ამერიკაში არ ჩასულა, ახალი პრემიერის ვიზიტი როდის იქნება შტატებში, არ ვიცით, თუმცა როდესაც პირველი პირების ვიზიტი მზადდება, საჭიროა, იყოს შეხსენება ქართველი საზოგადოებისთვის, რომ ჩვენ თქვენთან ვართ. თანაც გასათვალისწინებელია, რომ სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, რუსეთი პროვოკაციებს გეგმავს. რუსეთში არ თვლიან სამხედრო აგრესიად მავთულხლართების გადმოწევას და ეს გაგრძელდება, რუსეთის არსენალში მრავალფეროვანი იარაღია დაგროვილი და ისინი ამას გამოიყენებენ. ახლოვდება სექტემბერი და შოტლანდიის სამიტი, ღარიბაშვილი ჭკვიანია და სხვასავით არ თქვა, რომ აუცილებლად მივიღებთ „მაპ“-ს, მან მშვიდად განაცხადა, ნუ აღვიქვამთ ტრაგედიად თუ „მაპ“-ს არ მოგვცემენო. აქამდე „ნაცები“ თავისი პოლიტიკით უშლიდნენ ხელს „ნატოში“ გაწევრიანებას, ომის დაწყება დიდი დაბრკოლება იყო. ახლა ქვეყანა გაშლილი დროშებით მიდის ევროპისკენ, თუმცა „მაპი“ არის ნატოს სამოქმედო გეგმა, რომელიც არ შეიძლება, „ნატოში“ შესვლის გარანტიად ჩაითვალოს.

და თუკი საქართველო „ნატოს“ კარს შეაღებს, ისმის კითხვა, „ნატოში“ დაკარგული ტერიტორიების გარეშე შევდივართ? რაზეც ცინცაძე 1949 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულებას იხსენებს და აცხადებს, ხელშეკრულებაში წერია, რომ ქვეყანას, რომელსაც სასაზღვრო პრობლემები აქვს მეზობელ ქვეყანასთან, პრობლემები ექმნება „ნატოში“. საერთაშორისო სამართლის მიხედვით საქართველოს ეს პრობლემა არ აქვს, მთელი მსოფლიო ჩვენს საზღვრებს ცნობს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით ჩვენ არ გვაქვს პრობლემა მეზობელ ქვეყანასთან, მართალია, დაუდგენელი საზღვრები გავქვს სომხებთან და აზერბაიჯანთან, მაგრამ არ გვაქვს მათთან კონფლიქტი. არსებობს ქვეყნის შიგნით ტერიტორიული პრობლემები, რაც არაფერს ნიშნავს „ნატოსთვის“. თუ ჩვენ „ნატოში“ შევედით, მაშინ აფხაზეთი და ოსეთი „ნატოსთვის“ საქართველოა, ოფიციალურ დოკუმენტში, არსად არ არის აღნიშნული, რომ საქართველომ „ნატოში“ შესვლამდე უნდა მოაგვაროს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ესაა ოკუპირებული ტერიტორიები, ამიტომ „ნატო“ ვალდებულია, მიგვიღოს თავის ორგანიზაციაში იმ საზღვრებში, რომელსაც თვითონ აღიარებს.

რას იზამს რუსეთი გადამწყვეტ ბრძოლაში და როგორ რას დაუპირისპირებს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში მიმავალ გზაზე? თუ გავიხსენებთ, 2008 წლის შემდეგ, რუსეთის ექსპრეზიდენტის მედვედევის გაცხადებას, – ომი მე დავიწყე, იმიტომ რომ საქართველო „ნატოში“ არ შესულიყოო, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი არ დათმობს თავის პოზიციას. რუსეთი ოფიციალურად ამბობს, ეს საქართველოს არჩევანია, რა გზით წავა, მაგრამ მე ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ ჩავთვლიო. ევროსაბჭოს პრეზიდენტთან, ჰერმან ვან რომპეისთან შეხვედრის შემდეგ, პუტინმა თქვა, უკრაინის ასოცირებით თქვენ გინდათ ჩვენი ეკონომიკური ინტერესები შეამციროთ და დაგვამციროთ, ამის იმედი ნუ გექნებათო. პუტინმა ეს განცხადება ოლიმპიადის წინ გააკეთა და არც კი დაფიქრებულა, რა პოზიციას დაიკავებდნენ ოლიმპიადის წინ ევროპის პოლიტიკური ლიდერები, რუსეთი უყურებს უკრაინას საბაჟო კავშირის წევრად და ის არ დაუშვებს, რომ უკრაინა ევროპის ასოცირებული ქვეყანა გახდეს, რადგან რუსეთისთვის უკრაინის ევროპული გზა ნიშნავს მისი ეკონომიკის ჩაძირვას და რუსეთის წარმოების ჩავარდნას. ცინცაძის განცხადებით, არის ამაში ლოგიკა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ უკრაინელ ხალხს არ აქვს უფლება, თავისი არჩევანი გააკეთოს. რუსეთი მეზობლებს ეუბნება, ჩემთვის წამგებიანია ევროკავშირთან თქვენი ასოცირებული წევრობა, ამიტომ ყველა პროვოკაციას მოაწყობს, რომ ეს არ მოხდეს. ეროვნულ ღირებულებებზე ითამაშებს, მეხუთე კოლონას აამუშავებს. პუტინის მეთაურობით, რუსეთის მთავრობის 65 პროცენტი „კაგებეს“ გენერალია და ცხადია, რომ პრობლემებს შეგვიქმნიან. რუსები არაფერს ივიწყებენ, მათ ბოროტი მეხსიერება აქვთ.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ოლიმპიადის „წვრილმანებს“ ყურადღებას ნუ მიაქცევთო...




საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე ყველას ურჩევს, სოჭის ოლიმპიადის დროს დაფიქსირებულ „წვრილმანებს“ დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევენ.

„საქართველოს რუკას რაც შეეხება, ეს იყო სატელიტური ფოტო, რომელზეც შეიძლებოდა ყოფილიყო ღრუბელი. მე ამას არ აღვიქვამ, როგორც პროვოკაციას. მთავარია ის, რომ ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს რუკა არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს – მთლიანი, ქართული და ინგლისური წარწერებით. ეს არის მნიშვნელოვანი. ამიტომ მე ყველას ვურჩევ, რომ წვრილმანებზე ამხელა ყურადღებას ნუ გავამახვილებთ. რაც შეეხება იმას, რომ ვიღაცას შეიძლება რაღაც დროშა ჰქონდეს, ვიღაცას რაღაც მაისური ეცვას სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე, ეს არ არის ოფიციალური პოზიცია. ეს არის კონკრეტული ადამიანების თვითგამოხატვის სურვილი, რისი უფლებაც მათ აქვთ. აქედან გამომდინარე, ამასაც ოფიციალური რეაქციის ღირსად არ მივიჩნევ“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

### გეგუთის ციხის ვითარებას ჰამერბერგი შეისწავლის




გეგუთის ციხესთან დაკავშირებულ ვითარებას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველი თომას ჰამერბერგი შეისწავლის. მისი განცხადებით, „ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში ვიქნები. შევისწავლი ამ ვითარებას და უკვე კვირის განმავლობაში ჩამოვაყალიბებ ჩემს მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მანამდე გავესაუბრები ყველა პასუხისმგებელ პირს“, – განაცხადა ჰამერბერგმა. (ინტერპრესნიუსი)

### გუდაურში უკრაინის მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს



გუდაურის ერთ-ერთ სასტუმროში უკრაინის მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. სამინისტროს ინფორმაციით, ტურისტი ასთმით იყო დაავადებული. გარდაცვლილი სასტუმროს თანამშრომლებმა იპოვეს. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ვინ არის ბიძინა ივანიშვილის კონკურენტი საქართველოში?

„ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია ბიძინა ივანიშვილის პატრიარქისადმი გამონათქვამს (ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ნათქვამი, – საპატრიარქოს კრიტიკას ტაბუ არ უნდა ედოსო, დავით მაღრაძესთან საუბარში განმარტა, ძალიან მიყვარს პატრიარქი და სიყვარულით ვაკრიტიკებო. – ჟ.ა.), „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა:

„ბიძინასმადიდებელს“ ბიძინას ფული უყვარს და არა თავად ბიძინა, მართლმადიდებელს კი პატრიარქი მისი პიროვნული თვისებების გამო უყვარს და არა – ფულის გამო. წარმოიდგინეთ, ბიძინას რომ ფული არ ჰქონდეს, ვინ იქნებოდა ასეთებისთვის ის?!“ საქართველოში „ბიძინასმადიდებელთა სექტა“ ყალიბდება, რომლებიც ნებისმიერ საკითხზე საუბარს იწყებენ ასე: „მადლობა ბიძინა ივანიშვილს“, „უდიდესი ქველმოქმედი“, „ბიძინამ გადაგვარჩინა“...

„სინამდვილეში ამ ხალხს ბიძინას ფული უყვარს და არა თავად ბიძინა. ბიძოს რეიტინგი – ფულის რეიტინგია... ეგ არის სულ! ხალხიც „ფულმადიდებელია“ და ფულის გულისთვის, ვის წინაშეც გინდა, ისევე იხოხებენ, როგორც ბიძინას წინაშე ხოხავენ“, – წერს ჯონდი ბაღათურია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

„აბა, წარმოიდგინეთ, რომ ბიძინას ფული არ ჰქონდეს, ესენი ყველანი ზურგს შეაქცევდნენ და ზედაც არ შეხედავდნენ. ეს იცის ბიძინამ და ამიტომაც შურს პატრიარქის გავლენისა და ავტორიტეტის, რადგან მართლმადიდებლებს პატრიარქი მისი პიროვნული თვისებების გამო უყვართ და არა – ფულის გამო“, – აღნიშნავს ბაღათურია.

**„ალია“ კომენტარისთვის ჯონდი ბაღათურიას დაუკავშირდა:**

**— ბატონო ჯონდი, თქვენ მიიჩნევთ, რომ ბიძინა ივანიშვილი „ეჯიბრება“ ავტორიტეტობაში საქართველოს პატრიარქს, რაღაცნაირად გვენიშნა... პატრიარქის, როგორც უდიდესი ავტორიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა სააკაშვილის დროსაც ძალიან აქტუალური იყო.**

– ძალიან აშკარაა, რომ ბიძინას არ აკმაყოფილებს თავისი გავლენა ქვეყანაში, ის ფიქრობს, რომ ამ გზაზე ვიღაც მასზე უფრო ავტორიტეტულია და ასეც არის. არის ხალხი, რომლებიც ბიძინას მართლა პატივს სცემენ გულწრფელად, მაგრამ მის გარშემო შეკრებილ ლიდერების ხროვას ბიძინას ფული უფრო უყვარს, ვიდრე ბიძინა, ხოლო პატრიარქი ვისაც უყვარს, უყვარს მისი პრინციპებისა და ფენომენის გამო და არა ფულის გამო, ამიტომ ბიძინას გავლენაზე კონკურენციის განცდა გაუჩნდა. ეს ძალიან აშკარაა, რადგან ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ბიძინა ზოგად სისტემაში საერთოდ ვერ ერკვევა, მერე მან თითქმის მოწოდება გააკეთა, რატომ არ ლაპარაკობთ პატრიარქზეო, რადგან ბევრი რამე ეშლებაო და შენიშვნები მაქვსო. ჩემი აზრით, სწორედ ასეთმა განცდამ განაპირობა ეს ყოველივე.

**— რას გულისხმობდით, როცა ამბობდით, ივანიშვილმა სექტა ჩამოაყალიბაო?**

– ბიძინას მადიდებლობას... ამაში კი ფულმადიდებლებს ვგულისხმობ, იმიტომ რომ უმეტესად იმის გამო სცემენ ბიძინას პატივს, რომ მისგან ფულადი მოწყალება მიიღონ. ასეთი მე ბევრი ვიცი, პოლიტიკოსების უმეტესობა ასეა განწყობილი. თუნდაც კულტურის მოღვაწეები აიღე, რომლებიც საუბარს იწყებენ ბიძინასადმი მადლობით. ეს სიტყვები ძალიან მოდაშია, ყველგან ამას გაიგებთ: „მადლობა ბიძინა ივანიშვილს“, „უდიდესი ქველმოქმედია“ და ა.შ. ეს არის, უბრალოდ, მლიქვნელობაში გაწაფული ადამიანების საქციელი. ამაში ბიძინა არ არის დამნაშავე, ამაში საზოგადოების ის ნაწილია დამნაშავე, რომლებსაც ფულის გამო ყველას წინაშე ხოხვა შეუძლიათ, იმიტომ რომ ისინი ხოხვისთვის არიან შექმნილი და ვერასდროს ვერ იფრენენ. ეს ბიძინას მიმართ კრიტიკით არ მაქვს ნათქვამი, ეს იმ ხალხის მიმართ მაქვს ნათქვამი კრიტიკით, ვინც ფულის გამო ყველაფერს გააკეთებს.

გამიჩნდა განცდა, რომ ივანიშვილი კონკურენციას გრძნობს და ეს იწვევს მის გაღიზიანებას, რადგან ვინც პატრიარქს იცნობს, არ ვიცი, როგორ უნდა გაგაღიზიანოს მან. შეიძლება ეს ქვეცნობიერი განცდაა, რადგან ხომ ვხედავთ, რომ მას თავი წარმოუდგენია არა მარტო პოლიტიკურ ლიდერად, არამედ მორალურ ლიდერადაც. რადგან ზნეობრივ საკითხებზე ისე თამამად ლაპარაკობს და ხშირად მცდარ მოსაზრებებს გამოთქვამს ხოლმე, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერთგვარი თავდაჯერებულობა აქვს, რომ მან ყველაფერი ყველაზე კარგად იცის.



მაგალითად, სუროგაციაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს დიდი ცოდნა ჰქონდა ამის შესახებ. ამ საკითხში არც მე ვწყვეტ ვარსკვლავებს, მაგრამ აშკარად შევატყვე, რომ მაგრად არ იცოდა ეს თემა. მას მონარქიული მიდრეკილებები აქვს. მონარქი აერთიანებდა ერთმანეთში საერო და სასულიერო ძალაუფლებას ხო?! საერო ძალაუფლება მას აქვს უკვე, რადგან ის არის რეალურად ქვეყნის პირველი პირი და პოლიტიკური ძალაუფლება მისია მთავრობაზეც და ოპოზიციაზეც, ეს ხომ ყველამ ვიცით. ახლა, როგორც ჩანს, მიილტვის უკვე სასულიერო ძალაუფლებისთვის და ამ გზაზე ვინც ელობება, ეს არის პატრიარქისა და ეკლესიის ავტორიტეტი.

ბიძინას სააკაშვილს არ შევადარებ, ეს იქნება შეურაცხყოფა, რადგან მასზე ისეთი წარმოდგენა არ მაქვს, როგორიც სააკაშვილზე მქონდა. უბრალოდ, ძალაუფლების მოთხოვნილებამ შეიძლება დაამსგავსა ისინი რაღაცით ერთმანეთს რაღაც საკითხში, მაგრამ ბიძინა სააკაშვილი არ არის. ივანიშვილის მხრიდან იმის განცხადება, რატომ არ ლაპარაკობთ პატრიარქზე და რატომ არ აძლევთ შენიშვნებს, ესაა ჩარევა საქმეში, ჩარევა კიდევ როდის გინდა? – მაშინ, როცა სურვილი გიჩნდება, მართო. ამ შემთხვევაში არა მარტო ეკლესიის მართვის, არამედ განვმეორდები და კიდევ ვიტყვი, მთლიანად პოლიტიკური და სასულიერო მმართველობის სურვილი აქვს ბატონ ბიძინას.

**— ამ დამოკიდებულებას, რასაც ივანიშვილი პატრიარქის მიმართ აჩვენებს, რამდენად ადეკვატურად შეხვდება საზოგადოება?**

– არ მომეწონა ივანიშვილის ეს პოზიცია და დარწმუნებული ვარ, არც სხვას მოეწონებოდა, რადგან ერთი-ერთში ასე შეუტიეს პატრიარქსა და ეკლესიას. ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, მიუხედავად იმისა, არც მქონდა წარმოდგენა, რომ ღრმადმორწმუნე ადამიანი იყო და არც ამბობდა ამას. მე რა დამოკიდებულებაც მქონდა, იგივე დამრჩა ივანიშვილის მიმართ, მაგრამ მოვლენისადმი განვეწყვე ნეგატიურად.

»» **ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა დაიწყო



იუსტიციის სასწავლო ცენტრში ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ტური გაიმართა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, გამოცდაში მონაწილეობის სურვილი 127 კანდიდატმა გამოთქვა. პირველ ეტაპზე კონკურსის მონაწილეებს ტესტირება უტარდებათ ზოგად უნარჩვევებში. წარმატებული პრეტენდენტები 28 თებერვლიდან პროფესიული ტესტირების გავლას შეძლებენ.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე 253 სანოტარო ბიურო მოქმედებს. უნოტარიუსოდ ჯერ კიდევ დარჩენილია შვიდი რაიონი (ქედა, მესტია, ასპინძა, ადიგენი, ვანი, ონი ამბროლაური).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ნოტარიუსთა მაქსიმალური რაოდენობა 300-ით განისაზღვრა. შესაბამისად, იურიდიული განათლების მქონე პირებს აქვთ შანსი, ნოტარიუსის თანამდებობა დაიკავონ თავისუფალ 47 ადგილზე. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დელტას“ წარმოებული აღჭურვილობის პრეზენტაცია გაიმართა




ვაშლიჯვრის სპეციალური ოპერაციების ძალების ბაზაზე თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ წარმოებული ახალი სამხედრო პროდუქტების – ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, საქართველოს მთავრობის წევრები და აკრედიტებული უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეები დაესწრნენ. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, სპეციალურ სასროლეთზე საქართველოში წარმოებული სამხედრო აღჭურვილობის გამოცდა-ტესტირება გაიმართა.

სამხედრო ინსტრუქტორებმა ჯავშანჩაფხუტსა და ჯავშანჟილეტს სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან (პისტოლეტებით: თთ, გუჩEღ, **GLOK 21**, ავტომატით **AKM** და სნაიპერული შაშხანა **SVD**) ესროლეს და დაზიანების ხარისხი შეამოწმეს.

„იმ ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების დემონსტრირება გაკეთდა, რომელიც ჩვენი შეკვეთით „დელტასთვის“ პრიორიტეტად იყო ქცეული. თავიდანვე პრიორიტეტი იყო ჩვენთვის, ჩვენი ჯარისკაცების, ოფიცრების, იმ ჩვენი ვაჟკაცი ბიჭებისა და ქალბატონების პირადი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხელ წერტილებში, საერთაშორისო ოპერაციებში მიდიან. ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ ამ წარმოებულ პროდუქტს აწერია – „წარმოებულია საქართველოში“ და გამოცდა გაიარა. რა თქმა უნდა, ბაზარიც შესწავლილი გვაქვს. ჩვენ თვითონ – თავდაცვის სამინისტრო, სხვა უწყებები – შინაგან საქმეთა სამინისტრო, ალბათ, დაინტერესდება ამ პროდუქციით, მაგრამ ასევე, გვაქვს პრეტენზია და ამბიცია იმისა, რომ ამ პროდუქტმა გაიმარჯვოს და სხვა ბაზრებიც დაიპყროს. იმიტომ, რომ სხვა დასავლური ქვეყნების მიერ წარმოებული ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების ანალოგიები ბევრად უფრო მძიმეა, „დელტას“ მიერ წარმოებული კი მსუბუქი და მაღალი ხარისხის. ამ პროდუქციამ გამოცდა წარმატებით გაიარა და დასაქმებული არიან ქართველი სპეციალისტები, წარმოებულია საქართველოში და ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ჩვენი ნატოს სტანდარტებთან დაახლოებისკენ და ჩვენი ეროვნული თავდაცვის ინდუსტრიის განვითარებისკენ“, – განაცხადა ალასანიამ.

ჯავშანჩაფხუტის წონა შეადგენს 1200-1500 გრამს. ჩაფხუტის შიდა აღჭურვილობა სრულად შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. ადვილია მისი თავზე მორგება-რეგულირება, ასევე უზრუნველყოფს დარტყმის ძალის შთანთქმასა და ამორტიზებას. ჯავშანჟილეტის წონა შეადგენს 3200 გრამს. დაცვის ფართი 42 დმ. კვადრატში (საერთო წონა შეადგენს 5.5კგ-დან 10 კგ-მდე). (ინტერპრესნიუსი)

# რა ელით ტექდათვალიერებისას მათ, ვისაც მანქანა გაზზე ჰყავთ?

მსუბუქი ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერება მთავრობის დადგენილებით 2004 წელს დროებით გაუქმდა. მისი აღდგენა უნდა მომხდარიყო 2013 წლის 1-ელ იანვარს. ვინაიდან შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა არ იყო მომზადებული, შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და მთავრობის დადგენილებით გადავადდა ერთი წლით. კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შევიდა და ტექდათვალიერება 2015 წლის 1-ლი მარტიდან დაიწყება.

**„ალიას“ კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივის“ წევრი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**



ვასო ურუშაძე

**— მთავრობა ამბობს, რომ ვალდებულება გვაქვს, ტექდათვალიერება ნელ-ნელა ევროკავშირის სტანდარტებზე გადავიყვანოთ. რა სტანდარტებია ევროპაში და რა სტანდარტებით უნდა მოხდეს საქართველოში მანქანების შემოწმება?**

– როგორც ქალბატონი ნათია თავის განცხადებაში გვეუბნება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, ყველა ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა შესაბამისობაში მოდიოდეს ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა არავინ საუბრობს, კონკრეტულად რა სტანდარტებთან გვაქვს საქმე და რისთვის უნდა იყვნენ მზად ქართველი ავტომფლობელები. დღეს საქართველოში რეგისტრირებული 900 000 ავტომობილიდან, უმრავლესობა მეორადი და ტექნიკურად გაუმართავია, რადგან დაახლოებით 70%-მდე ძველი ავტომობილია. ვინაიდან საქართველოში სოციალური ფონი არცთუ ისე სახარბიელოა მთავრობა ძველი ავტომობილების იმპორტს ვერ აკრძალავს. თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ და აღვნიშნავთ იმასაც, რომ ევროკავშირის მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, საქართველოში არსებული ავტომობილების დაახლოებით 80% ევროპის საერთაშორისო სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს. ევროსტანდარტებით, ავტომობილი სამასამდე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, თუმცა გვეუბნებიან, რომ საქართველოში იქნება მხოლოდ 50 კრიტერიუმი, რაც ევროკავშირის ქვეყნებში დიდი ხანია მოძველებულია. ამ 50 კრიტერიუმის ჩამონათვალშიც კი ხვდება ავტომობილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აგრეგატი – კატალიზატორი. როდესაც ძრავში მიმდინარეობს არასრული წვა, წარმოიშობა განსაკუთრებულად მავნე ტოქსიკური აირები გამონაბოლქვის სახით, კატალიზატორი კი მდებარეობს მაყუჩის ბოლო ნაწილში, სადაც უნდა გაიაროს გამონაბოლქვმა და მოახდინოს გამონაბოლქვის გაწმენდა განსაკუთრებით მძიმე, მომწამვლელი ტოქსიკური აირებისგან, რომ არ გამოიტყორცნოს ატმოსფეროში. ამ კუთხით ძალიან სავალალო მდგომარეობა გვაქვს... უმრავლესობის მიერ კატალიზატორი ამოღებულია ხმარებიდან, რაც განაპირობა ორმა ფაქტორმა: 1. ძრავის მუშაობისას გამოყოფილი სიმძლავრიდან დიდი ნაწილი მიდის ავტომობილის აგრეგატებზე და საბურავამდე მიდის ენერგიის მხოლოდ 40%. კატალიზატორის მოხსნის მეშვეობითაც ვიღებთ დამატებით 5% ენერგიას, რაც ამცირებს საწვავის ხარჯს და გვაძლევს ეკონომიურ შედეგს; 2. კატალიზატორში გამოყენებულია ძვირადღირებული ლითონი, რომელიც 1 კილოგრამი 100 ლარი ღირს, რის გამოც მძღოლები ამას ხსნიდნენ და აბარებდნენ. როდესაც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერება აღდგება, მძღოლებს მოუწევთ შეიძინონ კატალიზატორები, რაც ბაზარზე 300-დან 5000 ლარის ფარგლებში მერყეობს. გარდა ამისა, მძღოლებს მოუწევთ უპასუხონ კიდევ 49 გამოწვევას, ეს არის მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, აირბაგები, საქარე მინები და სხვა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: 30 სექტემბერს, სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, ლაშა ნიკოლაძემ განაცხადა, რომ ისინი მუშაობენ ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის კანონპროექტზე, რომელიც უახლოეს მომავალში გადაეგზავნება პარლამენტს. ჩვენ მივმართეთ ბატონ ლაშას წერილობით, მოვითხოვეთ გასაჯაროებულიყო კანონპროექტზე მომუშავე კომისიის შემადგენლობა, თავად კანონპროექტის სავარაუდო პირველადი სახე და სხვა წვრილმანები, ასევე მოვითხოვეთ, ჩავრთულიყავით კანონპროექტის შემუშავების პროცესში, ამაზე პასუხიც ვერ მივიღეთ. საინტერესოა, ვინ მიიღო გადაწყვეტილება, რა კრიტერიუმებით შეირჩა გერმანული კომპანია? უკვე ერთი წელია, ეს პროცესი მიმდინარეობს ფარულად, არ ხდება საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ რა გამოწვევის წინაშე დგებიან ავტომფლობელები, როგორ და ვინ მოახდენს ამ ყველაფრის განხორციელებას, ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი, რომელი უწყება გაუწევს მონიტორინგს და ასე შემდეგ.

**არის კიდევ ერთი დიდი პრობლემა — საქართველოში დღეს მანქანების დიდი ნაწილი გადაყვანილია გაზზე. საინტერესოა, ტექდათვალიერების დროს წვის შემოწმება მოხდება გაზზე თუ ბენზინზე? ამაზე „ალიას“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი, ოთარ დანელია პასუხობს:**



ოთარ დანელია

– თუ გაზის აგრეგატი დამონტაჟებულია ყველა ნორმის დაცვით, მანქანას არანაირი პრობლემა არ შეექმნება. ბენზინზე გადაყვანა არ არის საჭირო, ვინც რით დადის, ისევე ივლის.

**— ევროპაში როგორ არის, გაზის სტანდარტები არსებობს?**

– კი, არის სპეციალური ნორმები. ჩვენთან სხვადასხვა თაობის აგრეგატებია, როცა გერმანელები ჩამოვლენ და შეამოწმებენ, მერე უფრო ბევრი გვეცოდინება. თუმცა წინასწარი მონაცემებით, ჩვენ გავარკვიეთ, რომ დღეს ჩვენთანაც საკმაოდ ნორმალურად აყენებენ. შეიძლება ოდნავ რეგულირებაზე იყოს საუბარი.

**— როგორც ექსპერტები ამბობენ, ევროპაში გაზის ლიცენზირებულ აგრეგატებს ასევე ლიცენზირებული წესით ამონტაჟებენ.**

– აქ იმაზეა საუბარი, რომ ყველა ნორმა მაქსიმალურადაა დაცული.

**— საქართველოში ავტომობილების უმეტესობას მაყუჩიდან ამოცლილი აქვს კატალიზატორი, ამას რა ვუყოთ?**

– ეგ ყველამ უნდა დააყენოს, მაგრამ რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, ეს არის გრძელვადიანი გეგმა, ჩვენ ვიწყებთ 2015 წელს, მაგრამ ვამთავრებთ 2019 წელს.

**— ანუ ყველაფრის გამოსწორებას პირველივე ეტაპზე არ იწყებთ?**

– ჩვენ ვიწყებთ ეტაპობრივად, 2015 წლიდან შემოწმდება სტანდარტების რაღაც რაოდენობა, ამაზე ჯერ კიდევ ვმუშაობთ. მომდევნო წლებში ამას კიდევ დაემატება რაღაც რაოდენობა. ამის შესახებ ყველას ეცოდინება და ასევე იქნება საშეღავათო პერიოდები.

**— ამ ეტაპზე 50 სტანდარტი გვაქვსო მითხრეს, ეს ცოტა ბევრი ხომ არ არის?**

– ამჯერად 44 სტანდარტია. ეს გადაიხედება და შევჯერდებით, ჯერ დრო კიდევ გვაქვს. ისეთს არაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი ავტომფლობელები დაზარალდნენ.

**როგორც ავტომფლობელთა ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, შალვა ოგბაიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ევროპას საერთოდ თავი რომ გავანებოთ, ავტომობილის მოწესრიგება აუცილებელია. ვინაიდან ტექდათვალიერების საკითხი ძალიან აქტუალურია და ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ყველა დეტალზე საუბარი შეუძლებელია, ამიტომ უფრო ვრცელ წერილს და ბატონ ოთარ დანელიას ინტერვიუს ორშაბათის „ქრონიკაში“ შემოგთავაზებთ.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ივანიშვილის მარიონეტებთან შეხვედრებს აზრი არ აქვსო

პატრია „თავისუფალო საქართველო“ იუსტიციის სახლში პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრას ეხმიანება.

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვედრაზე ახალი არაფერი წარმოუდგენია, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ არც უსუფაშვილს, არც ძიძიგურს, არც ვოლსკის ან ვინმე სხვას უმრავლესობაში, საარჩევნო რეფორმაზე ინიციატივების უფლებამოსილება არ აქვს და რეალურად, მათი ფუნქცია ბიძინა ივანიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაა.

„ივანიშვილის მარიონეტებთან შეხვედრებს აზრი არ აქვს. პარტია გააგრძელებს კამპანიას თავისუფალი საარჩევნო გარემოს მისაღწევად“, – აცხადებენ პარტიაში. (ინტერპრესნიუსი)

## ხადური ლარის ახალი წონასწორული კურსის ჩამოყალიბებას ვარაუდობს



საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ლარის ახალი წონასწორული კურსის ჩამოყალიბებას ვარაუდობს. ხადურის განცხადებით, პროგნოზების გაკეთება ამ თემაზე მიზანშეწონილი არ არის, თუმცა ლარზე მოთხოვნა უკვე გაიზარდა.

„თავიდანვე ვამბობდი, რომ კურსთან დაკავშირებით ხელოვნური აჟიოტაჟის გამოწვევა საჭირო არ იყო და რომ ეს იყო დროებითი მოვლენა. ჩვენ დავინახეთ, რომ სიტუაცია შეიცვალა და ლარზე მოთხოვნა გაიზარდა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ვფიქრობ, რომ მალე ჩამოყალიბდება ახალი წონასწორული წერტილი“, – აღნიშნა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## ოლიმპიადის ვებგვერდზე ჩანაწერი ჩასწორდა




სოჭის ოლიმპიადის ოფიციალურ ინგლისურენოვან ვებგვერდზე მონაცემები ჩასწორდა და გალი უკვე საქართველოს ტერიტორიად არის მოხსენიებული. რუსეთის სახელით მოასპარეზე მარიკა პერტახიას დაბადების ადგილად, შეცდომის შესწორების შემდეგ – საქართველო, გალია მითითებული. თუმცა, ასევე მითითებულია: აფხაზეთის რესპუბლიკის გალის რაიონი.

9 თებერვლის შუადღემდე, ოლიმპიადის ინგლისურენოვან ვებგვერდზე მარიკა პერტახიას დაბადების ადგილად რუსეთი, გალი იყო მითითებული. აღნიშნულთან დაკავშირებით რეაგირება მოახდინა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, რის შემდეგაც პერტახიას დაბადების ადგილის მონაცემები თავდაპირველად საერთოდ წაიშალა, შემდეგ კი ჩასწორდა. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

# პროკურატურიდან გაყრილი ადეიშვილის კადრები სასამართლოში დაასაქმეს

რამდენიმე დღის წინ „ალიამ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომელ სოსო არჩვაძეზე, რომელსაც უწყებაში „სიკვდილას“ მეტსახელით იცნობენ. როგორც წყარო გვიყვება, სტატიის გამოქვეყნებამ პროკურატურაში ადეიშვილის კადრებს უხერხულობა შეუქმნა, თუმცა ხუმრობის ხასიათზე ჯერ კიდევ არიან და განუცხადებიათ, ჟურნალისტმა „სიკვდილას“ გარდა ადეიშვილის კადრი ამხელა უწყებაში ნუთუ ვერ იპოვაო?! შემიძლია „დაგამშვიდოთ“, მეტ-ნაკლებად, მაგრამ ვიპოვე. ცხადია, ყველა არა, მაგრამ ისეთებს კი მივაკვლიეთ, ვინც ადეიშვილისა და საააკაშვილის დავალებით, საქმეებს „კერავდნენ“.

მაგალითად, ჯარჯი წიკლაური ვანო მერაბიშვილის საქმის პროკურორია. ის ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის გამომძიებელი გახლდათ. როგორც „ალიას“ სანდო წყარო უმხელს, ის ამა თუ იმ ადამიანისთვის ქონების ნართმევაზე, საქმის „შეკერვასა“ და არაადამიანური მოპყრობის გზით აღიარების მოპოვებაზე დავალებებს პირადად ზურაბ ადეიშვილისგან იღებდა. შავი საქმეების შემსრულებელი წიკლაური კი დღეს ვანო მერაბიშვილისთვის აპირებს დანაშაულის „დამტკიცებას“. გარდა ამისა, ჯარჯი წიკლაური იყო სახელმწიფო ბრალმდებელი საქალაქო სასამართლოში ზურაბ ადეიშვილის საქმის არსებითი განხილვის დროს. იმის გამო, რომ ადეიშვილს ბრალს მისი „ლუბიმჩიკები“ სდებენ, ამიტომაც არის ის არხეინად ბუდაპეშტში და მთავარ პროკურორზე ადრე იცის, რა ხდება უწყებაში, ვინ არის სამიზნე, ვისზე მზადდება მტკიცებულებები და ა.შ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმეზე პროკურორი ია დარჯანიაა, ასევე, „ნაციონალების“ დროინდელი პროკურატურის კადრი. მას საზოგადოება ლევან მამალაძის საქმიდან იცნობს. „ალიასთან“ საუბრისას წყარო ამბობს, რომ დარჯანია პროკურატურაში წარმატებით მუშაობდა ადეიშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს, როცა „შემსრულებელი“ თუ არ იქნებოდი, წარმატება რთული მისაღწევი იყო. „ბევრი ცოდვა აჰკიდეს, თუმცა ის გახმაურებულ საქმეებში არასდროს ფიგურირებდა. გარდა იმისა, რომ არ აქვს არანაირი მორალური უფლება დღეს იყოს ბრალმდებელი, არ არის იმ დონის კვალიფიციური იურისტი, რომელიც ბაჩო ახალაიას დანაშაულს დაუმტკიცებს“. – აცხადებს წყარო.

ახლა ერთი ამბავი, რომელიც ჯერ არ გახმაურებულა. როდესაც მთავარ პროკურორად არჩილ კბილაშვილი დაინიშნა მას მუდმივად მოუწოდებდნენ, რომ ადეიშვილის ხელის პროკურორები უწყებიდან გაეშვათ. ასეც მოიქცა და ერთი ასეთი, სანდრო გირგვლიანის საქმის გამომძიებელი ვალერი ლაცუზბაია იყო. თეა წულუკიანი აცხადებდა, რომ ვერ ეგუებოდა სანდრო გირგვლიანის საქმის პროკურორის უწყებაში მუშაობას, თუმცა წყარო გვიყვება, რომ წულუკიანის მიზანი არ ყოფილა, უწყებას ჩამოეშორებინა ის პირები, ვინც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეს კურირებდა და ვინ უშუალოდ მონაწილეობდა მტკიცებულებების განადგურებაში. ლაცუზბაიას სანდრო გირგვლიანის საქმეზე გამოძიება რამდენჯერმე ჰქონდა ჩატარებული, ამ საქმეს კი თბილისის პროკურატურის უფროსი გელა ბადრიაშვილი კურირებდა. თუმცა ბადრიაშვილს ლაცუზბაიას ბედი არ გაუზიარებია. ის კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ სააპელაციო სასამართლოში გადაიყვანეს. გამომძიებელი, რომელსაც სანდრო გირგვლიანის საქმეზე სიმართლის დამალვასა და მტკიცებულებების განადგურებაში ადანაშაულებენ, ახლა სააპელაციო სასამართლოში ხალხს ასამართლებს. ბადრიაშვილი ირაკლი ოქრუაშვილის კურსელი იყო და სწორედ ოქრუაშვილის დამსახურებით აღზევდა პროკურატურაში, მოგვიანებით კი ადეიშვილის ხელისბიჭი გახდა.

სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ გირგვლიანის საქმის გამომძიებელი არ შეუფარებია. კახა მაჭავარიანი, რომელიც წლების განმავლობაში გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამსახურის უფროსი იყო, ახლა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა. სწორედ მაჭავარიანის ხელში იყო ნებისმიერი გამოძიება, რომელიც უწყებაში მიმდინარეობდა და როგორ მიმდინარეობდა, ამას უკანონოდ გასამართლებული ადამიანების საჩივრებიც ადასტურებს.

კიდევ ერთი „ნაციონალურად“ გამობრძმედილ პროკურორად სახელდება რობერტ გრიგალაშვილი. ეს ის პროკურორია, რომელიც ფოტორეპორტიორებისა და მუხროვანის ამბოხის საქმეში სახელმწიფო ბრალმდებელი იყო. სწორედ გრიგალაშვილი ამტკიცებდა, რომ ოთხი ფოტორეპორტიორი ჯაშუში იყო და უმკაცრეს სასჯელს იმსახურებდა. „ალიას“ წყაროს თქმით, გრიგალაშვილს ადეიშვილი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს ანდობდა და მისი ნდობით სარგებლობდა.

როგორც „ალიას“ წყარო აცხადებს, ამ ადამიანებმა ძალიან ბევრი იციან ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებზე, რადგან უკანონო დავალებებს უშუალოდ ხელმძღვანელი პირებისგან იღებდნენ და ახლაც, ქვეყნიდან გაქცეულ და საქართველოში დარჩენილ „ნაცლიდერებს“ ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიან ინფორმაციას, თუ სად უშვებენ შეცდომებს. წყაროს თქმით, პროკურატურაში საგანგაშო ვითარებაა, რადგან ბადრიაშვილის უწყებაში ადეიშვილის კადრებს მიჰყავთ „პარადი“ და ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევენ იმათ, ვინც ნეიტრალურია პოლიტიკური პარტიების მიმართ და მხოლოდ საქმეზე ფიქრობს.


გიორგი გაბიტაშვილი


გიორგი ბადრიაშვილი


სოსო არჩვაძე „სიკვდილა“

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის მერია განცხადებას ავრცელებს




დედაქალაქის ბიუჯეტთან დაკავშირებით თბილისის მერია განცხადებას ავრცელებს.

„მიუხედავად თბილისის მერიის მზადყოფნისა, შაბათ-კვირის განმავლობაში დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიელო საკრებულოს „ქართული ოცნების“ უმრავლესობის წერილობით მომზადებული წინადადებები, მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა. როგორც ჩანს, ჯერჯერობით მათ საკუთარი შენიშვნები თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით არ ჩამოუყალიბებიათ. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ხდება დროის ხელოვნურად გაყვანა, რათა 12 თებერვალს ბიუჯეტის განხილვას კვლავაც ფორმალური ხასიათი ჰქონდეს. ასევე, ვფიქრობთ, რომ ამ პროცესს არ უნდა აფერხებდეს საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი შიხიაშვილისა და მისი მოადგილეების ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანგრძლივი მივლინებით მოგზაურობა და შესაბამისად, ვთხოვთ, საკრებულოს უმრავლესობას დღეს მაინც მიაწოდონ თბილისის მერიას მათი წინადადებები. ამასთანავე, ჩვენ კვლავ მზადყოფნას გამოვთქვამთ 12 თებერვლის საკრებულოს სხდომის გამართვამდე 24-საათიანი რეჟიმით ვიმუშაოთ და ყველა დაინტერესებულ პირთან, მათ შორის საკრებულოს უმრავლესობასთან ერთად შევძლოთ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ჯგუფი დააკავეს



შსს-ს ცნობით, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დანაშაულებრივი დაჯგუფების ხუთი წევრი: 1989 წელს დაბადებული ლევან ქ., 1980 წელს დაბადებული ლონდერ მ., 1974 წელს დაბადებული ხვიჩა ლ. 1985 წელს დაბადებული ოთარ ს. და 1988 წელს დაბადებული დავით ჩ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები აღიარებენ ე.წ. ქურდულ სამყაროს; ურთიერთობა ჰქონდათ ე.წ. კანონიერ ქურდებთან და აქტიურად ასრულებდნენ მათ დავალებებს.

დაკავებულების პირადი და ბინების ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით მოქალაქეთა მონაცემებით ბლოკნოტი, თანხა – 10 000 ლარი, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის „ა-კა-ემ-ეს“-ის მოდელის ავტომატი, „მაუზერი“-ს სისტემის პისტოლეტი და 107 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. (ინტერპრესნიუსი)

## ღვედებმა დაღუპულთა რიცხვი 30%-ით შეამცირა



საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ლევან მაჭავარიანის განცხადებით, ღვედის გამოყენების სავალდებულო წესის შემოღების შემდეგ, ქვეყანაში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რიცხვი, დაახლოებით 30 პროცენტით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ შსს-ის ინფორმაციით, 2010 წელს 5099 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც 685 პირი დაიღუპა, 2011 წელს – 4486 შემთხვევა იყო და გარდაცვლილთა რაოდენობა 526-ს შეადგენდა, 2012 წელს 5359 ავტოავარიის შედეგად დაიღუპა 605 პირი, 2013 წელს კი 5510 საგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 514 პირი შეადგინა. ღვედის გამოყენება ქალაქში 2010 წლის 1-ლი დეკემბრიდან შევიდა ძალაში. (ინტერპრესნიუსი)

## მინდელის მაღაროში ერთი ადამიანი დაშავდა

ტყიბულის რაიონში, მინდელის მაღაროში მომხდარი შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა. ელმავლის მემანქანე მურად ჭელიძე ძლიერი დაზიანებით ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. მემანქანე მაშინ დაშავდა, როცა გვირაბში ჩარჩენილ, ქვანახშირით დატვირთულ რამდენიმე ვაგონს ელმავლით დაეჯახა. მომხდარი ფაქტის შემდეგ ჭელიძეს თავად მოუწია რამდენიმე კილომეტრის ფეხით გამოვლა, რათა გვირაბიდან გამოსულიყო.

ექიმების განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა საშუალოდ მძიმეა, მას ოპერაცია ჩაუტარდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ექსკლუზივი

**რა მეთოდებით იბრძვიან დღეს „ნაციონალები“ პარლამენტში და როგორ მოქმედებენ კულუარებში? რატომ უჩნდება უმრავლესობის ზოგიერთ წევრს საპარლამენტო უმცირესობის ჩაქოლვის სურვილი და რატომ ვერ ახერხებს ამას?**

**„ალიას“ უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე ესაუბრა:**



– „ნაციონალებისგან“ საშიშროება ნამდვილად არსებობს... როცა პარლამენტის ტრიბუნიდან ნუგზარ წიკლაური გეტყვის, სამართლიანობის ამთავრებენ. უმრავლესობაში ძალიან ბევრს აქვს სურვილი, ეგენი ჩაქოლოს, მაგრამ ისე იქცევიან, ამის საშუალებას არ გაძლევენ. დამიჯერე, მათი ცინიკოსობა იწყება და მთავრდება საპარლამენტო ტრიბუნაზე. „ნაციონალე- და გააპროტესტოს ეს ყველაფერი. ხალხმა შემოუძახოს ხელისუფლებას და თუ საჭირო იქნება, მე მათ გვერდით დავდგები. ჩემთვის არ არის თვითმიზანი, რომ ვიყო უმრავლესობის წევრი და მარტო პულტს დავაჭირო თითი. მე ბიძინა ივანიშვილს გვერდით დავუდექი იმისთვის, რომ საქართველოში ყველაფერი რადიკალურად შეცვლილიყო. დღესაც ამ განწყობით ვარ, მაგრამ ვხედავ, რა ხდება და რას ფიქრობს მოსახლეობა. მე პირადად, მოსარიდებელი არავისთან არაფერი მაქვს: არც ერთი „ნაციონალი“ და წონებათ, მაგრამ ეს ძალიან ნაკლებად მაღელვებს. რა გავაკეთოთ ახლა ჩვენ, სირაქლემას პოზა მივიღოთ, თავი ქვიშაში ჩავრგოთ და ვიყვიროთ, რომ ყველაფერი კარგადაა? კი, ბატონო, ყველაფერს დრო სჭირდება, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი, მათ შორის, მოთმინებასაც.

მე ყველაფერს ღიად ვლაპარაკობ და თავს არ ვარიდებ კრიტიკას. ეს უნდა იგრძნონ იმ ადამიანებმა, რომლებიც რაღაც კონიუნქტურის ქვეშ მოექცნენ. ესენი იძახიან: ვაიმე, ახლა იმას არ ეწყინოს, ამას არ ეწყინოს... არადა, სჯობს, ერთმანეთს ვაწყენინოთ, ვიდრე ის ადამიანები გავანაწყენოთ, რომელთა

## რაზე ლაპარაკობენ „ნაციონალები“ და უმრავლესობა პარლამენტის კულუარებში?

აღდგენა კომიკურ სახეს იღებსო და გიორგი ვაშაძე პრეტენზიებს წამოგიყენებს, ამ დროს სხვა რა გზა რჩება? სამწუხაროდ, „ნაციონალებს“ პირს ვერ ამოვუკერავთ, მათ პირი უნდა ამოუკეროს სამართლიანობამ. იმ დონეზე უნდა აღდგეს სამართლიანობა, რომ მათი საინფორმაციო ღრუ დაიხშოს.

**— დათო, საქმეც ეგაა, რომ სამართალი ამას ვერ აკეთებს. ძალიან მაინტერესებს ერთი საკითხი: ერთია, როცა გამოდიან საპარლამენტო ტრიბუნაზე და ცინიკოსობენ, მაგრამ მეორეა კულუარები... პირად ურთიერთობებში რა ხდება, იქაც ასე ცინიკურად გაწვებიან?**

– ამ ადამიანებთან ღია ურთიერთობით მე ნამდვილად ვერ დავიკვეხნი... თუმცა, გეტყვი, რომ ისინი ეკრანის მიღმა არც ცინიკოსობენ და არც არაფერს ლაპარაკობენ. „ნაციონალები“ ორიენტირებული არიან პიარზე, ჩაირთვება კამერები, იწყებენ ცინიკოსობას, დგამენ სპექტაკლებს, გამოირთვება და მორჩა, ეგრევე ბი“ ნათურასავით არიან, რომელსაც აანთებ და ჩააქრობ. საქმე მივარდნამდე და ჩაქოლვამდე არ მიჰყავთ. როცა „მიაწვები“, თავს იკატუნებენ, ჩვენ პოლიტიკოსები ვართ და რა ვქნათ, არ ვილაპარაკოთ? თუ ძალა გაქვთ, აღადგინეთ სამართლიანობა და ნუ მოგვცემთ საშუალებას, რომ ასე მოვიქცეთო.

**— არც ტყუიან, საშუალებას აძლევთ და თავიანთ საქმეს აკეთებენ კიდეც.**

– მეტსაც გეტყვი... გიორგი ვაშაძემ ახალი ტერმინები მოიგონა: უსუსური მთავრობა, უსუსური ხელისუფლება, უსუსური გადაწყვეტილებები და ასე შემდეგ. ესენი მოსახლეობას თავში უნერგავენ, რომ „ქართული ოცნება“ არის უსუსური. აი, ამიტომ უნდა დავუდოთ ამათ საპირწონე. თუ გვინდა, რომ ეს იარლიყი მოვიცილოთ, ამათ პასუხი უნდა ვაგებინოთ ყველა იმ დანაშაულზე, რაც ჩაიდინეს. მე მივმართე პროკურატურას კიდევ ერთხელ და ახლა ველოდები რეაქციას. „ნაციონალებმა“ მხოლოდ კერძო ბიზნესი კი არ გაანადგურეს, სახელმწიფო ქონებაც მიიტაცეს და მაგალითად მომყავს ეროვნული ზარაფხანა, რომელიც ჯერ კახა ბენდუქიძემ ჩაიგდო ხელში, შემდეგ კი ოდესღაც გალეტილ, რუსეთიდან „კალოშებით“ ჩამოსულ კობა ნაყოფიას გადასცა. ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით იმისთვის, რომ სამართლიანობა აღგვედგინა, თუ ამას ვერ გავაკეთებთ, მაშინ საერთოდ რაზეა ლაპარაკი? ასე ნუგზარ წიკლაურს, ვაშაძესა თუ ნადირაშვილს ისევ დარჩებათ „მორალური“ უფლება, რომ იყვნენ ცინიკოსები და იძახონ, საქართველოში კომიკური სიტუაციააო.

**— დათო, შენ ხარ დეპუტატი, შენ იბრძვი და არაფერი გამოგდის, ამ დროს რა ქნას რიგითმა ადამიანმა, რომელსაც ყველაფერი წაართვეს, უკანონოდ ამყოფეს ციხეში...**

– რიგითი ადამიანი არ უნდა დაიღალოს, გამოვიდეს დღევანდელი ხელისუფლების არც ერთი წევრი, რომელიც ხელს უწყობდა დამნაშავეების პარპაშს, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. ამ გაფოფინებულმა „ნაციონალებმა“ რომ მოახერხეს ტყავის შეცვლა და გადაბარგდნენ „ქართულ ოცნებაში“, ამას ყველა კარგად ხედავს. მე გუშინდელ დღესავით მახსოვს, ერთ-ერთ შეხვედრაზე ბატონმა ბიძინამ თქვა და დარწმუნებული ვარ, დღესაც ამ აზრზეა: ჩვენ არავის ხელი არ უნდა ვკრათ, ვინც არის ღირსეული, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ მას შემდეგ, რაც ჩვენი მომხრეები იქნებიან კმაყოფილებიო. მე კიდევ დღეს ვხედავ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს გვერდით იბრძოდნენ და რომლებმაც თავი გადადეს, არ არიან კმაყოფილები. ვისაც უნდა, იმას ეწყინოს, ყველამ დალიოს ცივი წყალი... სამწუხაროდ, უმრავლესობაშიც არიან ისეთები, რომლებსაც ჩემი ასეთი გამოსვლა არ მოეთმინებაც უკვე იწურება. ახლა კიდევ წამოვა ახალი ტალღა, ადგილობრივი არჩევნების წინ სიტუაცია უფრო გართულდება. ის ხალხი, რომელიით თავის დროზე საკრებულოებსა და გამგეობებში დაუმსახურებლად მოხვდა, უფრო გააქტიურდება, ესენი ისევ თავიანთ მომხრეებს შემოგვტენიან და ჩვენი მხარდამჭერები დარჩებიან თამაშგარე მდგომარეობაში. ამ ადამიანებს მეთოდურად გასწევენ გვერდზე და მერე ჩვენ გვეტყვიან: უკაცრავად, თქვენ საერთოდ ვინ ბრძანდებით, აქაურები ხართო? მე მინდა, მივმართო ამ მოსიარულე გვამებს: ასეთ ცინიკურ გამოხტომებს ყველა არ მოითმენს, თქვენი გასამართლება არის ქართველი ხალხის დაკვეთა და ეს უნდა მოხდეს...

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როდიდან შემოვა გენმოდიფიცირების ეტიკეტიანი საქონელი?

**საქართველოში კანონი, რომელიც გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე ნიშანდებას სავალდებულოს ხდის, უკვე ძალაშია შესული, თუმცა იშვიათად ნახავთ პროდუქტს, რომ ეს ნიშანი ჰქონდეს.**

**„ალიას“ შეკითხვებს აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი პასუხობს.**



**— იმის მიუხედავად, რომ ეტიკეტირების წესი უკვე ამოქმედდა, სუპერმარკეტებში ჯერ ისევ ძველი შეფუთვით იყიდება პროდუქცია, როდიდან ექნება მომხმარებელს საშუალება, მიიღოს სრული ინფორმაცია, რა სახის პროდუქციას ყიდულობს?**

– ნებისმიერი სახის პროდუქტის, რომელშიც არის გენმოდიციფირებული კომპონენტი, გაყიდვა კი არ იკრძალება, არამედ სავალდებულო ხდება, ახლდეს ეტიკეტი, რათა მომხმარებელმა იცოდეს, რას ყიდულობს. ეს მოთხოვნა უკვე ამოქმედდა გასულ თვეში. ახლა უკვე სურსათის უვნებლობის სააგენტოს, რომელმაც უნდა აკონტროლოს სურსათის ხარისხი ქვეყანაში, მიენიჭება დამატებითი უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც მათ უფლება ექნებათ, ეტიკეტირების ნორმის დარღვევისთვის დააჯარიმონ მწარმოებელი ან დისტრიბუტორი. უკვე დაწყებულია ეტიკეტირების პროცესი და ძალიან მალე მოიცავს მთელ ბაზარს, ამას კი სურსათის უვნებლობის სამსახური გააკონტროლებს.

**— რა სანქციაა დაწესებული ნორმის დარღვევისთვის, ფინანსური ჯარიმა თუ შესაძლოა, მწარმოებელს ქართულ ბაზარზე შემოსვლა საერთოდ აეკრძალოს?**

– ორივე სახის. ასე წერია მთავრობის დადგენილებაში.

**— შეფუთულ პროდუქტზე ეტიკეტის დატანა იოლია. ხილ-ბოსტნეულის შემთხვევაში როგორ იქნება, როგორ უნდა გაარკვიოს მყიდველმა, გენმოდიფიცირებულია თუ არა?**

– მთავრობის დადგენილებში ჩამოთვლილია ყველანაირი სახის პროდუქტი და მითითებულია ყველა სახის პროდუქტზე, როგორ უნდა მოხდეს ეს. გამყიდველი და დისტრიბუტორი ვალდებული არიან, მომხმარებელი ჩააყენონ საქმის კურსში, სხვა შემთხვევაში დაჯარიმდებიან. მიმდინარე კვირაში იხსნება კერძო ლაბორატორია, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, გააკეთოს ანალიზი გენმოდიფიცირებულ პროდუქტებზე და დადოს დასკვნა, რომელი სახის პროდუქციაა გენმოდიფიცირებული და რომელი – არა.

**შორენა გოგოლაძე**
599 27 75 27

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



ექსკლუზივი

# პოლიციის ყოფილი უფროსი დავით საგანელიძეს ცემით ემუქრება

**რა საქმის გამოძიება დაიწყო, რატომ გაათავისუფლეს სამსახურიდან ლენტეხის პოლიციის უფროსი და რა კავშირი აქვს მასთან დავით საგანელიძეს? რა ფული იშოვა მან და რატომ „გააპრავა“ ნაციონალები ჯერ კიდევ არჩევნებამდე?**

**„ალიას“ ლენტეხის პოლიციის ყოფილი უფროსი მაიზერ ბაბლუანი ესაუბრა:**

– საბიუჯეტო თანხების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისების ფაქტზე გამოძიება დავიწყე 2013 წლის მარტში და მე მიმაბრძანეს სახლში. ყველაფერი კი ასე დაიწყო: თებერვლის შუა რიცხვები იყო, მივიღე განცხადება, რომ დამეწყო გამოძიება საბიუჯეტო თანხების მითვისების ფაქტზე, იკვეთებოდა თუ არა თანამდებობრივი დანაშაული. როგორც წესი და რიგია, გადავუგზავნე ეს განცხადება პროკურორს, რომელიც „ნაციონალების“ ხელდასხმით არის თავის თანამდებობაზე. იმანაც, თავის მხრივ, ეს განცხადება გადაუგზავნა არჩილ კბილაშვილს, რომელიც მაშინ გენერალური პროკურორი იყო. უნდა განსაზღვრულიყო, ვის დაეწყო გამოძიება, ვინ იყო კომპეტენტური ამ საკითხთან დაკავშირებით. რამდენიმე დღეში ეს განცხადება მობრუნდა უკან, მითითება მოგვცეს, რომ ადგილზე დაგვეწყო გამოძება და თუ გამოიკვეთებოდა თანამდებობრივი დანაშაული, ამ შემთხვევაში დამატებით ინფორმაციას მივაწვდიდით პროკურატურას და შემდეგ უკვე ქვემდებარეობის საკითხს გადაწყვეტდნენ, ან ჯგუფს გამოგზავნიდნენ ლენტეხში, ან სამხარეო პროკურატურას დაუქვემდებარებდნენ საქმეს.

**— დაიწყეთ საქმის გამოძიება და რა გამოიკვეთა?**

– ძირითადად ტენდერები იყო ფულის ჩარიცხვის საშუალება და სოფლის პროგრამა. ამ ტენდერებში იყო ასეთი სქემა: თვითონ გამგეობაში ვინც მუშაობდა სატენდერო კომისიაში, ის ხალხი ასევე ტენდერში იყო მეწილე არაოფიციალურად. აქ თანხის განაწილება იყო მთავარი, ანუ ტენდერის შედეგი. მე როგორც ვიცი, აქედან 30% მიდიოდა „ნაციონალების“ შტაბში. 20-30% მიდიოდა გამგეობაში და დაახლოებით 40% რჩებოდათ იმათ, ვისი სახელითაც კეთდებოდა ტენდერი. ანუ ვინც ტენდერს ოფიციალურად იგებდა, ყველაზე ნაკლები ხვდებოდათ. ეს მასალები იყო მთლიანად 2011-12 წლის ტენდერები, თანხა დაახლოებით 2-3 მილიონი ლარი. როცა შუამდგომლობით გამოვითხოვეთ ეს მასალები მოსამართლის ბრძანებით, სადღაც ათ დღეში შემომიგდეს პოლიციაში ერთ-ერთი მთვრალი მოტენდერე, რომელიც ეძებდა ამ საქმის გამომძიებელს. ეს კაცი აღმოჩნდა ჩემი ყოფილი თანამშრომლის მეუღლე. გამომძიებელი არ იყო ადგილზე, ვუთხარი ჩემთვის ეთქვა, რა უნდოდა, მაგრამ მითხრა, შენ ვინ ხარო, ამას პატარა კონფლიქტი მოჰყვა. ჩავთვალე ეს პატარა ინციდენტი არაფერი იყო, მაგრამ თურმე ეს იყო მთავარი. ეს მოხდა 9 მარტს და 19 მარტს ოფიციალურად დამადებინეს პატაკი თანამდებობიდან წასვლაზე. მაშინ სამხარეოს უფროსი იყო გამეზარდაშვილი, „გადაცმული“ „ნაციონალი“, ლევან ბეჟაშვილის საახლობლო წრე. იმ საქმის გამოძიება არ დამცალდა ორი კვირაც კი. მთავარი ფიგურა მე ვიყავი და იცოდნენ, რომ მე ამათთან გარიგებაზე არ წავიდოდი. შეიკრიბნენ „ნაციონალები“, ჩავიდნენ თავის მაჟორიტარ გოგი ლიპარტელიანთან და უთხრეს, თუ ჩვენ გაგვყრიან, მაშინ არც შენ დაგადგება კარგი დღეო. ეს ტენდერები და სოფლის პროგრამა იყო ყულაბა „ნაციონალებისთვის“. ხდებოდა ასეთი რაღაცა, ეს თანხა როგორც კი მოგროვდებოდა, ამოვიდოდა დეპუტატი, გოგი ლიპარტელიანი და ძირითადად გასვენებებში, ქორწილებსა და ორმოცებზე ხდებოდა ამ თანხების ჩუქება, თან დაყვედრებით, რომ სახელმწიფო არაფერს აკეთებს და გოგი გაძლევთ თქვენ ამ ფულსო. სინამდვილეში ეს იყო სახელმწიფო ფული, გოგი ლიპარტელიანი თავისი ჯიბიდან არც იღებდა და არც ამოიღებს ფულს. თუ ამოუღია ოდესმე, არც დაუკარგავს არავინ.



**— ბოლოს და ბოლოს, საქმე გამოიძიეთ და დადასტურდა ეჭვები?**

– სანამ ამ საქმეს მიმაყოლეს, მოვასწარი საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნა. ჩემი განთავისუფლებიდან სადღაც სამ თვეში მოვიდა პასუხები. ყველა ტენდერში და სოფლის პროგრამაში დადასტურდა თანხის მითვისებები. ერთი სოფელია იქ ჭრელფი, ხიდი გააკეთეს ტენდერით, ბიძინა ივანიშვილი რომ მოდიოდა ლენტეხში შეხვედრაზე დილის შვიდ საათზე აყარეს ეს ხიდი, იქ სოფლებია საკმაოდ დიდი და ხალხი რომ არ წამოსულიყო მაგიტომ. შვიდ საათზე ვიყავი ასული მარშრუტკებით, ხალხი უნდა წამომეყვანა და ხიდი აყრილი იყო. მუშებს ვკითხე, რას აკეთებთ-მეთქი და ხიდს ვაკეთებთო.

**— საგანელიძე რა კავშირში იყო ამ ყველაფერთან?**

– საგანელიძე უშუალოდ ერეოდა ყველა საკითხში, რაც იყო პარტიის შიდა სტრუქტურა, თავმჯდომარის დანიშვნა, მისი მოხსნა, არასასურველი პირების მოშორება. თავმჯდომარე ყველგან თითქმის კონფერენციებით აირჩია „ქართულმა ოცნებამ“, ლენტეხში კი დანიშნეს, არ ჩატარდა არჩევნები, იმიტომ რომ არ უნდა გასულიყო ის, ვისაც ძირითადად მხარს უჭერდნენ. აგვისტოში, როცა მოვალეობას ასრულებდა გიორგი გაზდელიანი, ახალგაზრდა საკმაოდ ნიჭიერი კაცი, უცებ მოგვიყვანეს შტაბის უფროსად ნემსაძე, ვითომ „ოცნება“, საგანელიძისა და ლიპარტელიანის რეკომენდაციით. ეს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე კი მიაჩეჩეს გვერდზე. კოჰაბიტაციის რეჟიმში ძირითადად შემოგვისახლეს „ნაციონალები“, ფაქტობრივად, ისევ „ნაციონალები“ განაგებდნენ ყველაფერს.

**— ამიტომაც არიან ხელშეუხებლები?**

– რა თქმა უნდა. ხალხი, რომელიც ბეჟაშვილის მეგობარი და ოჯახის წევრია, ამ ჩანქსელიანს ბეჟაშვილის ცოლისდა ჰყავს ცოლად, ანუ ალალი ქვისლები არიან. ეს ხალხი იყო დამალული, უცებ როგორც ფეკალური მასა ამოტივტივდება, ისე ამოტივტივდნენ ეგენიც. ამათ დაიწყეს უფროსობა, როცა ყველაზე ცუდ დროს არაფერი გაუკეთებიათ. გოგი ლიპარტელიანის საყრდენი ძალა იყვნენ ეგენი, გოგი კიდევ „ნაციონალია“, იმის მტკიცება რომ ამ კაცმა დათმო „ნაციონალები“ და წამოვიდა, აბსურდია. ესენი არიან რევანშისტები, ემზადებიან, ისევ დიდი ფულის სანაცვლოდ მოვიდნენ ხელისუფლებაში.

**— თქვენ თქვით, რომ ადგილობრივ არჩევნებზე რაღაც მზადდება, კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– რაიონებში ახლა იწყება კოალიციაში შემავალი სუბიექტების გამსხვილება, რომლებიც ძირითადად „ნაციონალები“ არიან. მიუხედავად იმისა, რაც ჰქვიათ, ყველა „ნაციონალია“ და სახელმწიფო სტრუქტურაშია. რაიონში საჯარო სამსახურში თუ არ ხარ, შიმშილით მოკვდები. ამიტომ ყველა ესენი დადგებიან, სუბიექტებად დარეგისტრირდებიან და რეალურად ყველა არის „ნაციონალი“. არ არის აუცილებელი, „ოცნება“ დაირქვან, ცალცალკე დარეგისტრირდებიან, იქ „რესპუბლიკელები“ შემოვლენ სცენაზე, რაც არიან, ყველამ კარგად ვიცით, ანუ სახეს შეიცვლის „ნაციონალური“ მოძრაობა. საგანელიძეს მსგავსი პრეტენზიები ჰქონდა წყალტუბოში, გარიგებაში იყო ნარჩემაშვილთან. ლენტეხში აგერ მე ვასახელებ, კაცს გაზეთით შევუთვალე, არ ამოხვიდე, თორემ გაგლახავ-მეთქი, რომ ამოსულიყო გავლახავდი, რამდენად მიმიშვებდნენ, არ ვიცი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გამოწერილი ჰქონდა და თუ სადმე გადავაწყდი, არც ახლა დავაკლებ.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ივანიშვილი ხუდონჰესის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსებს აკრიტიკებს



არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ ხუდონჰესის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსებს მხოლოდ პოლიტიკური ქულების დაწერა აინტერესებთ და ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებზე არ ფიქრობენ.

ივანიშვილმა არ დააკონკრეტა, რომელ პოლიტიკოსებს გულისხმობდა, თუმცა დასძინა, რომ არასწორი მიდგომაა, როდესაც ხუდონჰესის წინააღმდეგ გამოსვლა პატრიოტიზმად აღიქმება.

„ეს დააფუძნეს იმ პოლიტიკოსებმა, ვინც პოზიტივში დარჩნენ ჩვენს თვალში და მე არ მინდა დავასახელო. მათ ხუდონჰესი შეაჩერეს და გმირები გახდნენ. წავიკითხე სტატიები, რომ ისევ ბობოქრობენ. საკმარისია იქ განმარტებები და მე მგონი, სვანი ხალხი ძალიან ბრძენი ხალხია. ოღონდაც იმ წუთში გაუგორონ კოჭი და რაღაც დივიდენდები მიიღონ და ქვეყნის სტრატეგიაზე არავინ ფიქრობს. ოღონდ იმ წუთში აამონ და ასიამოვნონ, რაღაც მიიღონ და დაიწერონ. ასე არ შეიძლება“. – განაცხადა ივანიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## სამეგრელოს მოსახლეობას საყოველთაო აღწერისთვის ამზადებენ




სამეგრელოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები იწყება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები იწყება, რომელიც თითოეული დასახლების მიხედვით, შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები ოჯახების სიების შედგენას ითვალისწინებს. ამისთვის „საქსტატმა“ მოამზადა 350 რეგისტრატორი, რომელიც აღნიშნულ სამუშაოებს 14 დღის განმავლობაში ჩაატარებს.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ფარგლებში, აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარდა აჭარის, გურიის, კახეთის რეგიონებსა და დედაქალაქში. ოჯახების სიების შედგენა 20 თებერვლიდან გაგრძელდება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის, მარტში – სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ხოლო აპრილში პირველი ეტაპი იმერეთის რეგიონით დასრულდება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. თბილი დინება ატლანტის ოკეანეში
2. ნამცხვრების საცხობი
3. ფრინველების ხაფანგი
4. სპექტაკლი „ექვსი ... და ერთი მამაკაცი“
5. ზღვის ფრინველის სკორე
6. მალარიის წამალი
7. გეოგრაფიაში: პარალელი და ...
8. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
9. ქალაქი სამეგრელოში
10. ოზურგეთის უბანი
11. სვიფტის გოლიათი
12. შალის საპალტოე ქსოვილი
13. ტროპიკული ნაყოფი
14. მახრჩობელა გველი ამაზონში
15. რეჟისორი ალფონსო ...
16. კურორტი ზუგდიდის რაიონში
17. ეგზოტიკური ყვავილი
18. მისი დედაქალაქია ბუქარესტი
19. კაენის მსხვერპლი
20. თევზის ძვალი
21. რეჟისორი ... ანტონიონი
22. დირიჟორი ოდისეი ...
23. ვარცხნილობის სპეციალისტი
24. გაშიშვლება მუსიკის თანხლებით
25. მსახ. ... ქავჟარაძე
26. ... მურომეცი
27. „... აიბოლიტი“
28. მსახიობი ... ნოლტი
29. მსახიობი დემი ...
30. მისი დედაქალაქია დუბლინი
31. კაპიტან ნემოს გემი
32. ხელოვნური ტყავი
33. სვე
34. რიცხვი 3,14
35. გამის ნოტი
36. ზღაპრული ჯუჯა
37. შხამი, ამზადებენ ინდიელები
38. დიდი ჩაქუჩი
39. მსახიობი ... სტრიპი
40. მსახიობი ... როტი
41. რეჟისორი ლეო ...
42. ჩანჩქერი აშშ-ში
43. ნაბოკოვის რომანი
44. ნეპალის დედაქალაქი
45. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
46. ქალაქი ყირიმზე
47. მსახიობი ... ჟირარდო
48. სანოტო სისტემის ფიგურული ფრჩხილი
49. სამშენებლო მასალა
50. მსახიობი ... მონტანი
51. „პარმის სავანე“ ავტორი
52. მხედველობის ორგანო
53. ღორების ჯოგი
54. ვაქცინაცია
55. ქალაქი რაჭაში
56. მსახიობი ... დე ფიუნესი
57. ... გათეთრების ყორანი
58. პროფესორი ... მეტრეველი
59. წრილობითი თხოვნა
60. სათევზაო მოწყობილობა
61. რუსი მხატვარი
62. რუსი მხატვარი
63. მდინარე ინდოეთში
64. ბოსტნეული
65. ბერძ. ანბანის პირველი ასო
66. ძვ. თბილისური მიმართვა
67. გადაშენებული ფრინველი
68. ბრონტე. „ჯეინ ...“
69. შინაური მტაცებელი ცხოველი
70. შესახედაობა
71. მოკლე პალტო
72. იაპონური ჭადრაკი
73. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი“
74. სოუსი ბოსტნეულისათვის
75. ბალერინა ნინო ...
76. „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი
77. ფიგურული ჭრა ხეზე
78. სპორტის სახეობა
79. ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტში
80. სვეტის ფორმის ძეგლი
81. აკრძალვა ეპიდემიის დროს
82. თელემა
83. სამანიშვილების სიძე
84. მსახ. ... კალატოზიშვილი
85. მსახიობი ... სმიტი
86. ტივი „...-ტიკი“
87. ქალის სასიმღერო ხმა
88. მოჭადრაკე ... ალექსანდრია
89. ველოდრომი
90. მომღერალი მარია ...
91. ფიზიკოსი ისაკ ...
92. თეფში
93. სახელმწიფო აფრიკაში
94. იუმორისტი ... არაბიძე
95. ტროპიკული ბუჩქი
96. ქალაქი ესტონეთში
97. მომღერალი ... პავლიაშვილი
98. ხიფათი
99. „კავკ. ცარცის წრე“ მოსამართლე
100. შიიზმის მიმდევარი
101. ვაჟა-ფშაველას პოემა
102. მსახიობი ... ნილი
103. ბარდი ... ოკუჯავა
104. რეპტილია
105. ქორეოგრაფი მარის ...
106. ყინვაგამძლე სითხე
107. სახელმწიფო აზიაში
108. მხ/ფ „... ტრეისი“
109. გოია. „შიშველი ...“
110. სომხეთის ძველი დედაქალაქი
111. მდინარე კახეთში
112. მესხეთის ერთი ნაწილის პირობითი სახელწოდება
113. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
114. ქალაქი ბელორუსში
115. „დიდოსტატის მარჯვენა“ არსაკიძის თიკუნი
116. ჭამის სურვილი
117. მშვილდით სასროლი ჯოხი
118. იაპონური ავტომობილი
119. მსახიობი ... თურმანი
120. სიო
121. თაფლიანი ცვილი
122. კატა ბაზილიო და მელა ...
123. მსხლის ჯიში
124. რძის პროდუქტი
125. ქალაქი შიდა ქართლში
126. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში
127. შტატი აშშ-ში
128. მომღერალი ... ვაიკულე
129. ძვირფასი ქვა
130. მდინარე იტალიაში
131. მწერალი უილიამ ...
132. იაპონური თეატრი
133. სრული გამარჯვება ძიუდოში
134. ტაბლეტი
135. მწერალი გი ... მოპასანი
136. რიცხვი ექვსი ნულით
137. ფორმანის ფილმი მოცარტზე
138. ყურე
139. „მატრიცა“ ჰაკერი
140. ერთგვარი ურჩხული
141. მოჭადრაკე ქეთევან ...
142. კათიონი და ...
143. ერთიანი ნარდში
144. მსახიობი ანუკ ...



პასუხები: 1. გოლფსტრიმი; 2. საკონდიტრო; 3. კაკანათი; 4. შინაბერა; 5. გუანო; 6. ქინაქინა; 7. მერიდიანი; 8. არამეული; 9. აბაშა; 10. ანასეული; 11. გულივერი; 12. დრაფი; 13. ანანასი; 14. ანაკონდა; 15. არაუ; 16. ანაკლია; 17. ორქიდეა; 18. რუმინეთი; 19. აბელი; 20. ფხა; 21. მიქელანჯელო; 22. დიმიტრიადი; 23. სტილისტი; 24. სტრიპტიზი; 25. ლიკა; 26. ილია; 27. ექიმი; 28. ნიკ; 29. მური; 30. ირლანდია; 31. „ნაუტილუსი“; 32. დერმატინი; 33. ბედი; 34. პი; 35. მი; 36. გნომი; 37. კურარე; 38. ურო; 39. მერილ; 40. ტიმ; 41. ესაკია; 42. ნიაგარა; 43. „ლოლიტა“; 44. კატმანდუ; 45. ინდიგო; 46. იალტა; 47. ანი; 48. აკოლადა; 49. კირი; 50. ივ; 51. სტენდალი; 52. თვალი; 53. კოლტი; 54. აცრა; 55. ონი; 56. ლუი; 57. არ; 58. როინ; 59. აჯა; 60. ბადე; 61. ვასნეცოვი; 62. გე; 63. ინდი; 64. კიტრი; 65. ალფა; 66. ტო; 67. მოა; 68. ეარი; 69. კატა; 70. იერი; 71. მანტო; 72. გო. 73. ისაკიჩ; 74. მაიონეზი; 75. ანანიაშვილი; 76. ხატია; 77. ინკრუსტაცია; 78. ფარიკაობა; 79. „ლაურენსია“; 80. ობელისკი; 81. კარანტინი; 82. რული; 83. კირილე; 84. ნანკა; 85. უილ; 86. კონ; 87. ალტი; 88. ნანა; 89. ტრეკი; 90. ბიეშუ; 91. ნიუტონი; 92. საინი; 93. ლესოტო; 94. ნიკა; 95. ცეცე; 96. ნარვა; 97. სოსო; 98. ფათერაკი; 99. აზდაკი; 100. შიიტი; 101. „ბახტრიონი“; 102. სემ; 103. ბულატ; 104. კუ; 105. ლიეპა; 106. ანტიფრიზი; 107. ტაჯიკეთი; 108. დიკ; 109. მახა; 110. ანისი; 111. იორი; 112. ტაო-კლარჯეთი; 113. მო; 114. ვიტებსკი; 115. უტა; 116. მადა; 117. ისარი; 118. „ჰონდა“; 119. უმა; 120. ნიავი; 121. ფიჭა; 122. ალისა; 123. გულაბი; 124. კარაქი; 125. ქარელი; 126. ერდო; 127. ოკლაჰომა; 128. ლაიმა; 129. ოპალი; 130. პო; 131. თეკერეი; 132. ნო; 133. იპონი; 134. აბი; 135. დე; 136. მილიონი; 137. „ამადეუსი“; 138. უბე; 139. ნეო; 140. ქიმერა; 141. არახამია; 142. ანიონი; 143. იაქე; 144. ემე. იკითხება: ლოკოკინა. ბეღურა.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## უსინათლოების საშველად „თვალებიანი“ ფეხსაცმელები გამოიგონეს



სპეციალური ფეხსაცმელები უსინათლოებისთვის ჩინელმა მეცნიერებმა გამოიგონეს, რომლითაც უახლოეს მომავალში გაწვრთნილი ძაღლების სრულად ჩანაცვლებაა დაგეგმილი.

საქმე ეხება „თვალისჩინიან ფეხსაცმელებს“ ე.წ. „ელექტრონული სათვალეებით“, რომლის საიდუმლოც შემდეგში მდგომარეობს: მასში ჩამონტაჟებულია მინიატურული კომპიუტერი, რომელსაც ნივთების განლაგების განსაზღვრა ექოლოკატორის დახმარებით შეუძლია.

მისი მუშაობის პრინციპის თანახმად, როცა მინი კომპიუტერი საგნების მდებარეობას განსაზღვრავს, ულტრახმოვან ტალღებს ტვინში წამიერად გზავნის. მაგალითად, „თვალებიან“ ფეხსაცმელს შეუძლია 5-სანტიმეტრიანი ბორდიურისა და ასეთივე სიღრმის მქონე ორმოს „დანახვა“. როგორც კი უსინათლო ადამიანი რაიმე სახის დაბრკოლებას უახლოვდება, ფეხსაცმელი მაშინვე ვიბრირებას იწყებს და სანამ მას არ გადალახავს, მოქმედებას არ წყვეტს.

ზუსტად როდის უნდა დაიწყოს ასეთი საჭირო ფეხსაცმლის სერიული წარმოება, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ბაზარზე მის გამოჩენას ძალიან ბევრი ადამიანი მოელის.

*myjane.ru*

## ბრაზილიელი ყუმბარის გახსნას უროთი შეეცადა...



ფოტოზე ხედავთ სწორედ იმ ადგილს, სადაც, სამწუხაროდ, ბრაზილიელი მამაკაცი რეაქტიული ყუმბარის გახსნას უროს გამოყენებით ცდილობდა და ამ უთავბოლო საქციელს შეეწირა კიდეც.

უჭკუო ექსპერიმენტატორის საუბედუროდ, ყუმბარა საბრძოლო აღმოჩნდა და ის რამდენიმე წამში აფეთქდა.

ცნობილია, რომ ტრაგიკული ინციდენტი რიო-დე-ჟანეიროს პერიფერიაში მოხდა და მას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა – შემთხვევის ადგილზე თავად უაზრო აზრების პატრონი დაიღუპა, მეორე მსხვერპლი კი მისი მოხუცი ბებია გახდა.

საიდან მოხვდა გარდაცვლილი მამაკაცის ხელში საბრძოლო ყუმბარა, ეს ფაქტი იქაურ პოლიციას ჯერჯერობით არ დაუდგენია.

*vesti.ru*

## სიჩქარის გადაჭარბებისთვის... მიცვალებული დააჯარიმეს



ირლანდიელმა საგზაო ინსპექტორებმა სიჩქარის გადაჭარბების გამო კატაფალკა გააჩერეს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, სასაფლაოზე მიდიოდა.

როგორც „კატაფალკის“ მძღოლს სამართალდამცავებმა განუმარტეს, მან გზაზე, რომელზეც დაშვებულია 50 კილომეტრ/საათის სიჩქარით მოძრაობა, ლიმიტს ზუსტად ნახევრით გადააჭარბა.

საინტერესოა, რატომ ჩქარობდა კატაფალკის მძღოლი, ვითომ პროდუქცია უფუჭდებოდა, თუ მის მგზავრს ეჩქარებოდა სადმე? ფრიად საეჭვოა ეს ამბავი, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ პოლიციელებმა მთელი სამგლოვიარო პროცესია დააჯარიმეს, რადგან ისინი ცდილობდნენ, კატაფალკას არ ჩამორჩენოდნენ და შესაბამისად, სიჩქარის გადაჭარბება მათაც მოუწიათ.

– აქამდე არასოდეს გამიგია, რომ ვინმეს სამგლოვიარო ცერემონია გაეჩერებინოს, – ამბობს კატაფალკის მძღოლი, რომელმაც ცალკე ინსპექტორების დარიგებებს უსმინა, ჯარიმაც „გაირტყა“ და ცალკე კიდევ ჭირისუფლების წყევლა-კრულვა დაატყდა თავს.

*etotupo.ru*

## მუსიკალური ბალიში ძილის წინ იავნანას გიმღერებთ



პრინციპში, ბრიტანელების მიერ გამოგონილი ბალიში მხოლოდ იავნანას კი არა, ნებისმიერ სიმღერას შეგისრულებთ, რომელიც თქვენს გემოვნებაში ჯდება.

ამ უცნაური და ამასთანავე, ბევრისთვის სასურველი გამოგონების ავტორების განმარტებით, ბალიში ნამდვილი მელომანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც ძილის წინ მუსიკის მოსმენა უყვართ, თუმცა ყურსასმენების მოუხერხებლობის გამო, ამას ყოველთვის ვერ აკეთებენ, თანაც, ექიმებიც ხომ ყურსასმენების ხშირად გამოყენებას არ გვირჩევენ?

ბრიტანული „სოუნდ ასლიპის“ მუსიკალური ბალიშის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის სიმღერებს პორტატული აუდიოპლეერების დახმარებით ჩაგირთავთ, ხმას კი ქსოვილის შიგნით დამალული დინამიკებიდან გაიგებთ, თანაც, მხოლოდ თქვენ და არავის შეწუხება არ მოგიწევთ. უკეთესი კომფორტისთვის ბალიში პატრონის თავის ფორმასაც იმახსოვრებს.

„სოუნდ ასლიპის“ ნაწარმის შეძენა უკვე შესაძლებელი ყოფილა ინტერნეტ-მაღაზიების დახმარებით. მისი ფასი 30-დან 50 აშშ დოლარამდე მერყეობს.

*pronowosti.ru*

## ჩინური ნემსებით მკურნალობა უსაფრთხო სულაც არ არისო



შეიძლება ითქვას, ნემსებით მკურნალობის ჩინურ მეთოდს მთელი მსოფლიო იცნობს და ის გამოჯანმრთელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად მიიჩნევა, თუმცა აღმოჩნდა, რომ სეანსები არც ისე უსაფრთხო ყოფილა, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს.

რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას თავად ჩინელი სპეციალისტები ავრცელებენ, რაც დაჯერების საფუძველს უფრო მეტად იძლევა.

საქმე ისაა, რომ ნემსებით მკურნალობის სეანსები, თურმე მნიშვნელოვნად ზრდის სხვადასხვა ინფექციის გაჩენის ალბათობას, რაც, დაგვეთანხმებით, ჯანმრთელობისთვის საკმაოდ დიდი უსიამოვნების მომტანია.

ჩინელი სპეციალისტების ინფორმაციით, გასული საუკუნის 70-იან წლებში აკუპუნქტურას (ნემსებით მკურნალობა) ბე ჰეპატიტის ეპიდემია ხუთჯერ გამოუწვევია, რაც მაშინ საგულდაგულოდ გასაიდუმლოვდა და მომხდარს ნათელი მხოლოდ დღესღა მოეფინა.

ასევე ცნობილი ყოფილა შემთხვევები, როცა ნემსებით მკურნალობის სეანსებისგან ადამიანები ტუბერკულოზითა და სტაფილოკოკური ინფექციებით დაავადებულან.

საბედნიეროდ, აკუპუნქტურას შიდსის გავრცელება ჯერჯერობით არ მოჰყოლია, თუმცა რა მოხდება მომავალში, წინასწარ პროგნოზირება ძალიან რთულია.

*factroom.ru*

## ჩინელი ჩინოვნიკი ქრთამებს 800 ქალთან სექსის სურვილით იღებდა



ოცნებების ასრულების წლები იწყება მაშინ, როცა მამაძაღლური სურვილებით აღტყინებული კონკრეტული ადამიანები ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან, რაზეც კორუფციაში მხილებული ერთი ჩინელი ჩინოვნიკის მაგალითიც შესანიშნავად მეტყველებს, ქართველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

როგორც ირკვევა, ჩინელმა სამართალდამცველებმა დააკავეს ჩინოვნიკი, რომელიც გამოტყდა, რომ ქრთამებს იმისთვის ვიღებდი, მინდოდა, სექსუალური კონტაქტი 800 ქალთან დამემყარებინაო.

ცხადია, რვაასივე ქალის ერთდროულად დაკმაყოფილებაზე საუბარი არ არის – ჩინოვნიკი სექსუალურ პარტნიორებს რიგრიგობით იცვლიდა.

კორუფციის ეს საოცარი და შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო ფაქტი ჩინეთის ქალაქ ანცინში გამოვლინდა, ხელბორკილები კი 47 წლის ვან ჩენმა მიიღო, რომელსაც სხვა გზა აღარც ჰქონდა და დანაშაული აღიარა: „ბავშვობის ოცნების ასრულება მინდოდა, ახლა კი ჩადენილს ძალიან ვნანობ“...

რაც ყველაზე მთავარია, სურვილის დაკმაყოფილებამდე ვან ჩენს სულ 300 ქალის „ჩაკვნეხა-ჩაკვარახჭინებაღა“ რჩებოდა, თუმცა...

*mainfun.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– კოტე, რატომ ხარ ასეთი დამფრთხალი?

– ბიჭო, რა ვიცი, ბოლო ერთი კვირაა, ცოლს ესიზმრება, რომ ივანიშვილი ხვდება.

– და რა?

– გუშინ მაგრად ვეჩხუბე, რომ დაანებოს თავი ამ უაზრო შეხვედრებს.

– მერე?

– წუხელ უშიშროების პოლკოვნიკი მესიზმრა – ერთი ადგილი დააყენეო...

******

სკოლა. მასწავლებელი:

– ბავშვებო, დღეს საკონტროლო წერა გექნებათ.

ქერა:

– და შეიძლება კალკულატორი გამოვიყენო?

– კი, რა თქმა უნდა!

მეორე ქერა:

– და ბრადისის ცხრილი?

– შეიძლება... მაშ ასე, საკონტროლოს თემა ასეთია: „ბატონყმობის გაუქმება“.

*****

– არ არის ადამიანი, არ არის პრობლემები! (სტალინი)

*****



ძმაკაცები აბანოში არიან, სვამენ, იცინიან. რეკავს ტელეფონი. ერთ-ერთი პასუხობს:

– ჰო, ძვირფასო, რა გინდა? ქურქი? რა თქმა უნდა, შეიძლება... ფული სადაც დევს, ხომ იცი? ფეხსაცმელებიც გინდა? არ არის პრობლემა. ჩანთაც? კი, ჩემო საყვარელო...

თიშავს ტელეფონს და კითხულობს:

– ბიჭებო, ვისი ტელეფონია ეს?

*****

– დილაობით დარბიხარ?

– როგორ არა! ძირითადად, სახლში, ყვირილით – მაგის დედაც, ისევ დამაგვიანდა!!!

*****

– აფთიაქში გავიარე, ფასები შევისწავლე და მივხვდი, რომ ბევრად იაფად გამოვალ, თუ მოვკვდები!

– მოდი, შენ კიდევ ერთხელ გაიარე და სარიტუალო მომსახურების ფასებიც შეისწავლე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლის 1967-68 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

# ვარდიშა ნარსიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**დაკრძალვა:** 13 თებერვალს, ხუთშაბათს, ხობის რაიონი – ხეთა.

მეუღლე ლილი ნეფარიძე, შვილები ზურაბი, ნუგზარი, რძლები თამარ ნიკოლაიშვილი, ეკა ლორთქიფანიძე, შვილიშვილები ლუკა, ანი, სოფო, ნიკოლოზი, შვილთაშვილი ზურაბი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

# ზაურ კიკნაძე

**პანაშვიდი:** 11, 12 თებერვალს, 16 საათზე;
**გამოსვენება:** 13 თებერვალს, 14 საათზე;
**მისამართი:** ქ. თბილისი იოსებიძის ქ. №61-ბ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## რატომ არ უნდა დალიონ ლუდი ქალებმა?



ნორვეგიელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ლუდის ხშირი მოხმარების შემთხვევაში, მშვენიერ სქესს ფსორიაზის განვითარების რისკი მთელი 50 პროცენტით ეზრდება.

აღნიშნულ საკითხთან ჩატარებულ კვლევაში 27-დან 44 წლამდე 83 ათასმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. უნდა ითქვას, რომ კვლევის დასაწყისში ფსორიაზი არც ერთ მოხალისეს არ აღენიშნებოდა. მათზე დაკვირვების პროცესი კი რამდენიმე წელი გაგრძელდა.

საბოლოო ჯამში, დადგინდა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, რომლებიც კვირის განმავლობაში რამდენიმე კათხა ლუდს სვამდნენ, ფსორიაზი განუვითარდათ – ექსპერიმენტის 83 ათასი მონაწილიდან დაავადება დაახლოებით 4 ათასს აღმოაჩნდა.

მიზეზი – ლუდის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერება გლიუტენი (ზლაკების ცილა), რომელიც განსაკუთრებით უარყოფით გავლენას სწორედ მშვენიერი სქესის ორგანიზმზე ახდენს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***medportal.ru***


**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი


## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**11 თებერვალი:** უკანასკნელ ხანს, საკუთარი პრობლემების გარდა, არაფერს ამჩნევთ. ხანდახან გაიხსენეთ, რომ თქვენს გარშემო სხვა ადამიანებიც არსებობენ.

**კურო 22.04-21.05**
**11 თებერვალი:** საკუთარ აზრებში გარკვევას თუ დაიწყებთ, შეიძლება ძალიან წვრილმანებსაც ჩაეძიოთ. ზოგჯერ ეს კარგიცაა, მაგრამ ახლა ამაზე დროისა და ენერგიის დაკარგვა არ ღირს.

**ტყუპები 22.05-21.06**
**11 თებერვალი:** შეეცადეთ, გადაწყვეტილების მიღება არ იჩქაროთ. სიტუაცია ჯერ იმ დონეზე არ მომწიფებულა, რომ საბოლოო სიტყვა თქვათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**11 თებერვალი:** ჰკითხეთ საკუთარ თავს, მართლა ასე გჭირდებათ ის, რის მიღწევასაც ასე გულმოდგინედ ცდილობთ?

**ლომი 23.07-22.08**
**11 თებერვალი:** დღეს სატელეფონო საუბრები მაქსიმალურად შეამცირეთ. სასურველია, თვალებში ჩახედოთ ადამიანს, რომელსაც ესაუბრებით.

**ქალწული 23.08-22.09**
**11 თებერვალი:** შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ საქმე, რომელიც თქვენი პირადი და გასაიდუმლოებული გეგონათ, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი.

**სასწორი 23.09-22.10**
**11 თებერვალი:** რაღაც პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ ენერგიის ხარჯვა ვერ გიშველით, გონება უნდა დაძაბოთ და გამოსავალი ეძებოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**11 თებერვალი:** რა არგუმენტებიც არ უნდა გქონდეთ ტყუილის სათქმელად და თავის მოსაკატუნებლად, ამის გაკეთება მაინც არ ღირს. არ გამოგივათ და გამოგიჭერენ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**11 თებერვალი:** კეთილგანწყობილი ყურადღების ცენტრში მოექცევით. არ გეწყინოთ, თუ უკბილოდ გაგეხუმრებიან, ამას გულღრძოდ არ გააკეთებენ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**11 თებერვალი:** შეეცადეთ, მიაღწიოთ იმას, რომ დიდხანს არავინ შეგაწუხოთ. ასეთ სიტუაციაში შექმნით რაღაცას, რითაც დიდხანს იამაყებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**11 თებერვალი:** ამ დღის მშვიდად გატარება გაგიჭირდებათ. მიმოიხედეთ და დარწმუნდით, რომ სადარდებელი არაფერი გაქვთ. ბავშვებთან ურთიერთობით დიდ სიამოვნებას მიიღებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**11 თებერვალი:** შეიძლება დღეს სპონტანური გადაწყვეტილებები მიიღოთ, თუმცა შედეგები იმაზე შთამბეჭდავი იქნება, ვიდრე წინასწარ გააზრებული ქმედებებით მიიღებდით.

## ჩაიტკბარუნეთ პირი მატლებისგან დამზადებული... კამფეტებით



გვგონია, რომ სუსტი გულის მქონე ადამიანებმა, მით უმეტეს იმ კატეგორიამ, რომელსაც ტკბილეული განსაკუთრებით უყვარს, ეს ინფორმაცია არ უნდა გაიგოს...

რაკიღა არ იშლით, ყველაფერს გულახდილად მოგახსენებთ: თურმე, ამერიკაში, კერძოდ კი კალიფორნიაში კამფეტების დასამზადებლად ძალზე უცნაური მეთოდი გამოიგონეს – ტკბილეულში კომპანია „ჰოტლაიქსის“ სპეციალისტები მწერებსა და სხვადასხვა ბევრისთვის საძულველ არსებას ურევენ. მაგალითად, კამფეტში შეიძლება შეგხვდეთ, ჭიანჭველა, კალია, მატლი და თქვენ წარმოიდგინეთ, მორიელიც კი.

კომპანიაში განმარტავენ, რომ მომხმარებელს სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან ტკბილეულში მოხვედრამდე მორიელს შხამი მთლიანად ეცლება. ასევე ხდება მწერების შემთხვევაშიც – მატლებსა და ჭიაღუებს ყველა საშიში ნივთიერებისგან აცარიელებენ.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლე, რომელსაც „ჰოტლაიქსი“ მომხმარებელს სთავაზობს, არის ის, რომ მათ კამფეტებს ფორთოხლის, მარწყვის, ვაშლისა და სხვა ხილის გემოს გარდა (რა შუაშია ამ ყველაფერთან მუხლუხო და კალია, მაინც ვერ ვხვდებით), ბეკონის, ყველისა და ხახვის გემოც აქვს მიღებული.

„ჰოტლაიქსში“ ამტკიცებენ, რომ უჩვეულო ტკბილეულის მიმართ მომხმარებელი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს და მწერებიან კამფეტებს ერთნაირი სიამოვნებით მიირთმევენ ბავშვებიც, მოზარდებიცა და უფროსი ასაკის ადამიანებიც.

ღმერთმა შეარგოთ, ჩვენ პირადად საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და მაინცდამაინც არც ტარაკნიანი შოკოლადის გასინჯვის სურვილი გვირღვევს ღამის ძილს...

***pozitivchik.info***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ოლიგარქის ქალიშვილმა შეყვარებული სახლში მიიწვია, რომ მშობლებისთვის გაეცნო. მამა დაინტერესდა:

– სახლი გაქვს?
– ღმერთი თუ მომცემს, მექნება!
– მანქანა გყავს?
– ღმერთმა თუ მომცა, მეყოლება!
– ჩემი ქალიშვილის უზრუნველყოფას შეძლებ?
– ღმერთმა თუ ინება, შევძლებ...

მოგვიანებით ქალიშვილი მამის აზრით დაინტერესდა:

– რას იტყვი, მამიკო, როგორი ბიჭია?
– ნამდვილი იდიოტია, თუმცა იმან კი უსაზღვროდ მომხიბლა, როგორ მომიხსენიებდა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ››› 211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქვანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.43

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49



სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.